ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ქართველობის გადასარჩენად

ᲘᲚᲝᲠᲘ



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№279 (338) 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ-5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 2014 ᲡᲐᲰᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ 30 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲮᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲐᲮᲘ ᲨᲐᲠᲔᲡᲡ ᲛᲝᲕᲔᲚᲘ...

მუდამ ომის დავიდარაბაში ჩაძირული ქართველი კაცის ეს ამონაკვნესი,მიუხედავად მისი ოპტიმიზმისა, მაინც მისი მძიმე მდგომარეობის უკეთესობისაკენ შემობრუნების მოლოდინის რეალური ასახვა გახლავთ!

შეურაცხმყოფელია მთელი ერისათვის, როცა, ვიღაცის ბოროტი ნებით, შენს ქვეყანას თავგამოლაყებული (ისიც ეთნიკურად არაქართველი) პოლიტიკოსად წოდებული არარაობა წამოაჯდება თავზე და საკუთარ ჭკუაზე ატარებს ერსა და ბერს!

“შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფდა”-ო — ნათქვამია. მიუხედავად რამდენიმე დიქტატორი მმართველისა, ქართველი ხალხი მაინც დემოკრატიის მოლოდინში ათენ-აღამებდა, რადგან დემოკრატიულობა და ტოლერანტობა ქართველი ადამიანის სულსა და გულში ჯერ კიდევ თამარის ეპოქიდან იყო ჩაჭედილი და ტყუილად იბრალებდნენ შევარდნაძე და სააკაშვილი, რომ სწორედ ისინი იყვნენ ქართული დემოკრატიის პირველი მებაირახტრენი. დემოკრატიის რა მოგახსენოთ, მაგრამ დიქტატურის ავტორები რომ იყვნენ, დღევანდელი გადასახედიდანაც კარგად ჩანს. არა და, სააკაშვილი სწორედ დემოკრატიის დევიზით მოვიდა საქართველოს ხელისუფლებაში და რაც მივიღეთ მისი დაშნაკური გონების ნაყოფად, ყველას კარგად მოეხსენება.

იმდენს ვლაპარაკობ ხოლმე სააკაშვილის არაქართველობაზე, რომ მავანი ალბათ სომეხოფობიადაც ჩამითვლის, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე. მე, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, **“კარენოი თბილისელი”** ვარ და სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის გავიზარდე და მათთან ერთად მოხდა ჩემი სულიერი ფორმირება, მათთან ერთად ვთამაშობდი, ერთად ვჩხუბობდით, ხშირად სხვა უბნელ ქართველებთან, ერთმანეთს ზურგს ვუმაგრებდით, რაც გამორიცხავს ბრმა სიძულვილს მათ მიმართ, მაგრამ ჩემი თაობის ქართველები ილიას, ვაჟას, აკაკის და სხვა საქართველოსათვის გულანთებული მწერლების შემოქმედებითაც ვიზრდებოდით და კარგად ვიცოდით, თუ რაოდენ დიდი უბედურების მომტანია ამა თუ იმ ერისათვის სტუმრის მიერ მასპინძლის ფუნქციის მითვისება. ამაზე მიგვანიშნებდნენ ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, კონსტანტინე გამსახურდია...

სააკაშვილის არაქართველობა იმითაც მტკიცდება, რომ მას საოჯახო საქმეებში საქართველოს ყოფილი პირველი ლედის სანდრა რულოვსის დამხმარედ დაქირავებული ჰყავდა სწორედაც რომ სომხური ეროვნების ქალბატონი გავაზ კოლოიანი (ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს გაზეთში, რომ სააკაშვილის აღმზრდელმა და **“გურუმ”** ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ სამსახურიდან გაანთავისუფლა სამინისტროს კანცელარიის უფროსი — საქმის მცოდნე და პატიოსნებით გამორჩეული ქართველი კაცი და მის ნაცვლად აიყვანა ჯიბიდან გავარდნილი სომეხი მარლენ ულუხანოვი). და ეს სავსებით გასაგებია, რადგან მას **“დიდი მტრობა”** ჰქონდა ჩაფიქრებული ქართველების წინააღმდეგ, დიდი ფული უნდა ეკეთებინა ქართველების ხარჯზე, **“დემოკრატიზმის”** საფარველქვეშ უნდა მოექცია ქართველი ერი, დაეშინებინა იგი, რათა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაესხვისებინა საკონფლიქტო ზონები და უცხოელებისათვის მიეყიდა ჩვენი ისედაც ხარის ენასავით დამცრობილი მიწები...

ამას კი დიქტატურა სჭირდებოდა და, რაც მთავარია, ამგვარი ვერაგული გეგმების განხორციელებას ქართველი ხალხისადმი ღრმა სიძულვილიც სჭირდებოდა, რაც **“ესოდენ უხვად ჰქონდა მომადლებული”** დაშნაკ მიხეილ სააკაშვილს და მის დაშნაკურ გარემოცვას: სულიერად და ხორციელად მახინჯ და გონებამოწამლულ ბოკერიებს, ადეიშვილებს, დარჩიაშვილებს, კანდელაკებს, ვაშაძეებს...

სწორედ მათ შთაბერეს სული ოკეანისგაღმა შობილ მახინჯ იდეას ნახევრადსულელი მიხეილ სააკაშვილის გადიქტატორების თაობაზე, რამაც უაღრესად გ

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

საისტორიო გეოგრაფიის საკითხების კვლევის მიმართულებით დიდია აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის (1895-1981 წწ.) დამსახურება. ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლა დაისახა მან მიზნად, ნაშრომში – **„ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“,** რაც **„გეორგიკის“** სერიით რვა ტომად გამოიცა 1934-1970 წლებში. მასში არაერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტი წარმატებითაა გამოკვლეული. უაღრესად მნიშვნელოვანია **„ქართლის ცხოვრების“** აკადემიური გამოცემებისადმი ს. ყაუხჩიშვილის მიერ წამძღვარებული ვრცელი გამოკვლევები ძეგლის გენეზისის, სტრუქტურისა და შედგენილობის შესახებ. თავისი ნაღვაწით გამოჩენილმა მკვლევარმა **„საქართველოს ისტორიის აქამდე გაურკვეველ არა ერთ საკითხს მეცნიერული სინათლის შუქი მიაყენა“** (ბერძენიშვილი I, 1964: 350).

ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის მრავალი სანიმუშო მაგალითი შემოიტანა მეცნიერულ მიმოქცევაში აკად. სიმონ ჯანაშიამ (1900-1947 წწ.). ძველი და ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემების აღიარებულმა მკვლევარმა საგანგებოდ შეისწავლა და სრულიად ახლებურად გააშუქა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია; მანვე წარმოაჩინა კოლხეთის, ეგრისისა და აფხაზეთის სამეფოების ისტორიის ცალკეული პერიოდები. გვიანდელი ფეოდალიზმის ისტორიის გაშუქებას ისახავს მიზნად ს. ჯანაშიას ნაშრომი **„ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“.** აფხაზეთის ისტორია საგანგებოდაა შესწავლილი ნაშრომში – **„აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან“** (ჯანაშია II, 1952). სახელოვანი მეცნიერი საკითხის კვლევისას წარმატებით იყენებდა ისტორიულ-ფილოლოგიური მიდგომის დახვეწილ და ფაქიზ მეთოდს და საისტორიო გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი არაერთი პირველხარისხოვანი ფაქტით ამდიდრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას (ბერძენიშვილი I, 1964: 351).

საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხების შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა აკად. ნიკო ბერძენიშვილმა (1894-1965 წწ.). **„ისტორიული გეოგრაფია,– წერს იგი,– ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაა. მისი მიზანია ბუნებრივ გეოგრაფიულ მიდამოში ადამიანის მოქმედების ნაკვალევის მიხედვით საზოგადოების წარსული ცხოვრების მეცნიერული რეკონსტრუქცია. ისტორიული გეოგრაფიის საგანი გეოგრაფიულ პირობათა ბუნებრივი ცვლის ისტორია კი არ არის, არამედ ადამიანის შემოქმედების ისტორია ფიზიკურ-გეოგრაფიულ არეში“ (ბერძენიშვილი I, 1964: 347). დასავლეთ საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიაზე მსჯელობისას საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევაში – „საქართველო XI-XVIII საუკუნეებში“** (ბერძენიშვილი VI, 1973: 148-151, 167-177, 272-275, 342-347).

ქართული ფეოდალიზმის პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი – სენიორიების ისტორია მონოგრაფიულად შეისწავლა ბაბილინა ლომინაძემ. 1966 წელს გამოცემულ წიგნში მკვლევარი წარმოგვიდგენს ბიჭვინტის სენიორიის წარსულს XVI-XVII საუკუნეებში. ბ. ლომინაძის აზრით, საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინტიდან გელათში გადატანამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიჭვინტის მიწისმფლობელობის განვითარებაზე. ეს ფაქტი წარმოადგენდა ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გარკვეულ შედეგს (ლომინაძე I, 1966: 164).

ბ. ლომინაძე ვრცლად მიმოიხილავს ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებებს ბიჭვინტიდან საკათალიკოსო რეზიდენციის გატანის დროისა და მიზეზების შესახებ. ბიჭვინტიდან კათალიკოსის წამოსვლის საძიებელ დროდ მან XVI ს-ის II ნახევარი, კერძოდ, 1545-1569 წლები, ამასთანავე, 1578 წელი მიიჩნია. უკანასკნელი თარიღი–1578 წელი ის დროა, **„როცა საბოლოოდ დამთავრდა კათალოკოსის დამკვიდრება გელათში, როგორც მის მუდმივ საკათალიკოსო რეზიდენციაში“** (ლომინაძე I, 1966: 186).

ბიჭვინთის კათალიკოსის ოდიშ-აფხაზეთში დამკვიდრება გულისხმობდა არა კათედრის გადმოტანას, არამედ კათალიკოსის რეზიდენციის მონაცვლებას. **„კათალიკოსის ბიჭვინტიდან წამოსვლას,–დაასკვნის ბ. ლომინაძე, – არ გამოუწვევია XVI-XVII სს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა არა მხოლოდ თეორიულ-ნომინალურად, არამედ პრაქტიკულადაც. აფხაზეთი ეკლესიურად კვლავაც დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო შემადგენელი ნაწილი იყო. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთი ყოველთვის რჩებოდა როგორც მისი ორგანული კულტურულ-ეროვნული ნაწილი“** (იქვე: 240).

დასავლეთ საქართველოს სოციალური ურთიერთობის საკითხებს წარმატებით იკვლევდა პროფ. ოლდა სოსელია (1905-1995 წწ.). იგი ფეოდალური ხანის ცალკეული სათავადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის აღიარებული მკვლევარი იყო. ამ კუთხით წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგების შემაჯამებელია 1966 წელს გამოქვეყნებული სქელტანიანი მონოგრაფია: **„ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა)“,** მისივე სადოქტორო დისერტაცია – **„სათავადოები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (იმერეთის სამეფო, გურია-ოდიშის სამთავროები“** (1969 წ.) და სამ წიგნად გამოქვეყნებული მონოგრაფია: **„ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)“** (სოსელია I, 1973; II, 1981; III, 1990). აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი შესწავლით ო. სოსელია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოს სათავადო-სენიორიები წარმოადგენდა ცენტრისაგან ტერიტორიულ-პოლიტიკურად განცალკევებულ ფეოდალურ ერთეულს, ხოლო მისი მმართველი (თავადი ან სამთავრო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი) წარმოადგენდა საჯარო ხელისუფლების პრერროგატივების დიდი მოცულობითა და უკონტროლოდ მფლობელს.

ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის კვლევის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს პროფესორ თამაზ ბერაძის (1937-2012 წწ.) გამოკვლევები. ბატონი თამაზი საისტორიო გეოგრაფიის აღიარებული მკვლევარი იყო. საკვლევ თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ნათლადაა წარმოდგენილი მკვლევრის რამდენიმე სტატიაში. გამოკვლევაში – **„ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან“,** მკვლევარს მიზნად დაუსახავს სახელ ლიპარტიანის წარმომავლობისა და სალიპარტიანოს საზღვრების დადგენა. თ. ბერაძე აჯამებს სალიპარტიანოს შესახებ არსებულ ყველა ისტორიულ ცნობას და დაასკვნის: სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეული მდებარეობდა უნაგირას მთასა და ჭყონდიდის ეპისკოპოსის საეკლესიო მამულს შორის. მას სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა ჭილაძეთა ფეოდალური სახლის სამფლობელო. XVIII ს-ის დასაწყისისათვის სალიპარტიანო ოდიშის სამთავრო სახლს შეუერთდა უშუალოდ. XIX ს-ის დასასრულს ამ სახელის ქვეშ ცნობილი ტერიტორია მოიცავდა მდ. ტეხურის ზემო წელზე მდებარე ოციოდე სოფელს (ბერაძე სიგკ, II, 1964: 115-130).

ერთ ნაშრომში („**ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“**) მკვლევარს მიზნად დაუსახავს დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთ ისეთ საკვანძო საკითხზე მსჯელობა, როგორიცაა **„შიდა ეგრისის“,** ოდიშის საერისთავოსა და ოდიშის სამთავროს საზღვრების დადგენა, ეგრისწყლის ლოკალიზაცია, სახელწოდება **„ეგრისის“, „ოდიშის“, „სამეგრელოს“** წარმოშობა და სხვ. (ბერაძე სიგკ, III, 1967: 131-183).

1971 წელს გამოქვეყნდა თ. ბერაძის ნაშრომი – „**ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“.** მკვლევარს კრიტიკულად გაუანალიზებია XVIII ს. დიდი ქართველი მეცნიერის ცნობები. ამასთანავე, მასში საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი საკითხის გარშემო არსებული ისტორიოგრაფიის ნაწილი. მკვლევარს წამოყენებული და დასაბუთებული აქვს ზოგიერთი ახალი ჰიპოთეზაც. ვახუშტი ბაგრატიონისეული ოდიშის აღწერილობა, – წერს თ. ბერაძე, ხარვეზების მიუხედავად, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიისათვის მეტად საიმედო და ფასეული მასალის შემცველია. ვახუშტის ოდიში არ დაუთვალიერებია და ამ მიზეზით იგი სარგებლობდა სხვა სწავლულთა და მეცნიერთა მონაცემებით. კერძოდ, მას ფართოდ აქვს გამოყენებული **„ქართლის ცხოვრების“** ლეონტი მროველისეული მონაცემები (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 73).

ძველი და შუა საუკუნეების ხანის აფხაზეთის ისტორიის ისეთი საკითხები, როგორიცაა აფხაზთა წარმომავლობა, აფხაზი ხალხის განვითარების ცალკეული ეტაპები, აფხაზთა და აფხაზეთის როლი და ადგილი საერთო-ქართულ ისტორიულ პროცესში და მრავალი სხვა, პირველად ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად გააშუქა გამოჩენილმა ისტორიკოსმა ზურაბ ანჩაბაძემ (1920-1984 წწ.). იგი ფართო მასშტაბისა და დიდი ერუდიციის მეცნიერი იყო, რომელიც აფხაზეთის ისტორიას განიხილავდა საერთო ქართული პროცესების ჭრილში და მასთან ორგანულ კავშირში. მნიშვნელოვანია მის მიერ 1960 წელს მოსკოვში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული სადოქტორო დისერტაცია: **„შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII სს.)“,** და მონოგრაფია: **„ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“.** ამასთანავე, ზ. ანჩაბაძე მიჩნეულია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულის აღიარებულ მკვლევრად და ამ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით ორ ტომად გამოიცა ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომი – **„ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“.** 1986 წელს გამოიცა **„აფხაზეთის ისტორია“.** ამ სახელმძღვანელოში, რომლის დიდი ნაწილის ავტორიც ზურაბ ანჩაბაძე გახლავთ, გატარებულია მაგისტრალური ხაზი, რომ აფხაზეთის ისტორია საერთო ქართულ ისტორიასთან ორგანულ კავშირში განხილულიყო.

ოდიშ-აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების დასახასიათებლად მეტად საინტერესო ცნობები და მოსაზრებებია წარმოდგენილი პროფ. ზურაბ პაპასქირის ქართულ და რუსულენოვან გამოკვლევებში. ჩვენი კვლევისთვის საინტერესო თემატიკა მის ნაშრომებში ისტორიულ ჭრილშია განხილული. აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის სამსახურში ჩამდგარი და ანტიქართული ფსიქოზით დაავადებული ისტორიკოსების **„მეცნიერული“** საქმიანობის კრიტიკა მოცემულია მის სტატიაში – **„საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული „აფხაზურ ისტორიოგრაფიაში“.** მკვლევარი მიმოიხილავს ს. აშხაწავას, ლ. ვორონოვის (ავტორი წიგნისა "Абхазия это не Грузия"), ნ. ვორონოვის, მ. ტრაფშის, გ. ტურჩანინოვის, შ. ინალ-იფას, მ. გუნბას, ა. პაპასქირის ნაშრომებს და შენიშნავს, რომ აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტები გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გამიზნულად და თანმიმდევრულად ეწეოდნენ აღვირახსნილ ანტიქართულ პროპაგანდას. და ამ **„კამპანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციას. სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბებას ეკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში“** (პაპასქირი 1998: 76).

ასეთ მიზანმიმართულ ისტორიოგრაფიულ ომს საქართველოს წინააღმდეგ გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან აწარმოებდა აფახზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, რუსი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იური ვორონოვი, ხოლო მას შემდეგ, რაც აფხაზური ნაციონალ-სეპარატისტული მოძრაობის პოლიტიკური კონიუნქტურის სამსახურში ჩადგა, იური ვორონოვის თავდასხმა გასცდა **„აკადემიური მსჯელობის“** ფარგლებს და დაუფარავი და სისტემატური ხასიათი მიიღო. ამის მკაფიო ნიმუშად წარმოგვიდგება რუსულ ენაზე მისი ავტორობით გამოცემული 30-გვერდიანი **„ნარკვევი“: „აფხაზები – ვინ არიან ისინი?“** (პაპასქირი 1998: 78). პაპასქირის სამართლიანი შეფასებით, **„პირველი და უმთავრესი, რაც თვალში ეცემა კაცს ამ 30-გვერდიანი ბროშურის გაცნობისას, ეს არის ავტორის მოურიდებელი სწრაფვა, თავდაყირა დააყენოს მთელი მსოფლიოს ისტორიაც კი, ოღონდაც არ წარმოაჩინოს რეალური სიმართლე აფხაზთა და ქართველთა ისტორიული თანაცხოვრების შესახებ. სწორედ ეს მოტივი გასდევს წითელ ზოლად ვორონოვის მთელ ამ ნაცოდვილარს. პრაქტიკულად შეუძლებელია ამ წიგნში მოინახოს რომელიმე ადგილი, სადაც ნაჩვენები იყოს არათუ ქართველ-აფხაზთა ერთიან ისტორიულ და კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში ყოფნა, არამედ მათი შორი-ახლო თანაარსებობაც კი“** (იქვე: 78).

აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მამამთავარი, ცნობილი მეცნიერი შალვა ინალ-იფა თავის გახმაურებულ წიგნში ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ აფხაზეთისა და მთლიანად აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ერთადერთი მკვიდრი მოსახლენი აფხაზები იყვნენ. ძვ. წ. XIV-VII საუკუნეებში, ე. წ. **„კოლხური კულტურის“** პერიოდში აფსუა-აფხაზები თურმე განსახლებულნი ყოფილან არა მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის, არამედ მთლიანად კოლხეთის ტერიტორიაზე. იგი აბსოლუტურად დაუსაბუთებელი დასკვნებით ცდილობდა საკუთრივ აფხაზეთისა და აფსუათა მნიშვნელოვანი როლის წარმოჩენას მეზობელი ქვეყნების (ბიზანტია, ძველი რუსეთი...) კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე, მიამიტური და გულუბრყვილოა მისი ტოპონიმური და ანთროპონიმული ძიებანი (პაპასქირი 1998: 173-175).

ოდიშ-აფხაზეთის საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი საინტერესოდაა გაშუქებული პროფ. თ. მიბჩუანის გამოკვლევებში (მიბჩუანი 1989).

XV-XVIII საუკუნეების ოდიშ-აფხაზეთის ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გაშუქებას ისახავს მიზნად ბეჟან ხორავას ნაშრომი. მკვლევარი აანალიზებს ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ონომასტიკურ მასალასა და საისტორიო ლიტერატურის მონაცემებს. ამის ფონზე მოცემულია მსჯელობა ოდიშ-აფხაზეთის საზღვრებისა და მათი ცვლილებების შესახებ.

ცალკეული საკითხების კვლევისას ვსარგებლობდით და ვითვალისწინებდით ილია ანთელავას, ირაკლი ანთელავას, გონელი არახამიას, ნოე აფხაზავას, კ. ბერულავას, მიხეილ ბახტაძის, მაქსიმე ბერძენიშვილის, შ. ბურჯანაძის, პაპუნა გაბისონიას, ჯემალ გამახარიას, ბადრი გოგიას, გერონტი გასვიანის, ა. გელოვანის, დერმიშა გოგოლაძის, ვახტანგ გოილაძის, გურამ გრიგოლიას, კონსტანტინე გრიგოლიას, ვიქტორ გუჩუას, გივი ელიავას, პარმენ ზაქარაიას, მურმან თავდიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი კალანდიას, კონსტანტინე კაჭარავას, ბუბა კუდავას, კახა კვაშილავას, ბეჟან კილანავას, დიმიტრი ლეთოდიანის, ვადიმ ლექვინაძის, ქეთევან ლომთათიძის, მარიამ ლორთქიფანიძის, ირაკლი მათურელის, გიორგი მამარდაშვილის, ლევან მარუაშვილის, დავით მუსხელიშვილის, ქაჯანა მუშკუდიანის, გიორგი მჭედლიძის, დავით ნინიძის, მამანტი პაჭკორიას, კალისტრატე სამუშიას, იური სიხარულიძის, ციალა ქირიას, გიორგი შალამბერიძის, აკაკი ჩიქობავას, დავით ჭითანავას, კობა ხარაძის, ბეჟან ხორავას, გივი ჯამბურიას, შალვა ჯღარკავასა და სხვათა სტატიებსა თუ გამოკვლევებს; ასევე სპეციალისტთა საფუძვლიანი კვლევის ამსახველ, მრავალი საგულისხმო და მნიშვნელოვანი ინფორმაციისა თუ დასკვნის შემცველ საენციკლოპედიო სტატიებს. ბ. კუდავას მართებული შეფასებით, **„ზოგ შემთხვევაში ასეთი სტატიის მითითება იმითაც არის გამოწვეული, რომ მათში ისტორიოგრაფიაში ასე თუ ისე მიღებული და გაზიარებული დებულებებია ასახული“** (კუდავა 2002: 9-10).

საისტორიო გეოგრაფიის კვლევისას მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ეპიგრაფიკული, ეთნოლოგიური და ონომასტიკური ნარკვევები. აღნიშნულ საკითხებზე უაღრესად საინტერესო დაკვირვებებია მოცემული ლია ახალაძის, სულიკო ბახიაოქრუაშვილის, გურამ ბედოშვილის, თამაზ გამყრელიძის, თეიმურაზ გვანცელაძის, გივი ელიავას, ვალერიან ზუხბაიას, ოტია კახაძის, შოთა მესხიას, ჯუმბერ ოდიშელის, კახა ოკუჯავას, ვალერი სილოგავას, ციალა ქირიას, პაატა ცხადაიას, ვილენა ჯოჯუას ნაშრომებში.

ვახუშტი ბაბრატიონი ოდიშის (სამეგრელოს) ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ ოდიშის (სამეგრელოს) მდებარეობა და საზღვრები

სამეგრელო მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან ზოლში. მისი ფართობი დაახლ. 4339,2 კმ2-ს შეადგენს. მისი ტერიტორია მოქცეულია შავ ზღვასა და ცხენისწყალს შორის. ჩრდილოდასავლეთით მდ. ენგური ესაზღვრება; სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონზე გადის, ხოლო ჩრდილოეთით ეგრისის ქედამდე ვრცელდება. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიორიული დაყოფით სამეგრელო 7 მუნიციპალიტეტს მოიცავს. ესენია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტები და ფოთის მერია. ეს ტერიტორია ყოველთვის ქართველური ეთნოგრაფიული ჯგუფით – მეგრელებით იყო დასახლებული და შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

იგორ კეკელია

(გაგრძელება იქნება)

ჟამი დგას ზართა დარისხებისა!

აკი ცენზურა აკრძალულიაო?

ქუთაისში მოხდა ჭეშმარიტად საგანგაშო შემთხვევა.

ჩვენმა თანამედროვე ლუკა ისარლიშვილმა, რომელიც შპს **„ხომლი ენ“**-ის სტამბას თავკაცობს, რედაქტორი აიძულა, რომ მწერალთა და ხელოვანთა გაზეთ **„უქიმერიონიდან“,** რომლის ბეჭდვის მონოპოლიური უფლება მასა აქვს მოპოვებული, ამოედო ორი გვერდი, რადგან ამ ფურცლებზე აკრიტიკებდნენ მის ამფსონს, რომელსაც, როგორც ამბობენ, დიდი წვლილი მიუძღვის იმ არც თუ მთლად დამაჯერებელ გამარჯვებებში, რასაც ზემოხსენებულმა ორგანიზაციამ ნაციონალთა ბატონობის პერიოდში გაზეთებისა და წიგნების გამოცემის მიზნით ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამართულ ტენდერებში მოიპოვა. არადა, პირწავარდნილი ნაციონალი, თავისი ფიურერის მსგავსად პრესის სხვა ორგანოს საშუალებით უტიფრად განაგრძობდა რიონისპირა ქალაქის რჩეული დარბაისლების — **„ქუთაისელისა“** და **„ბაღისკიდის“** საზოგადოებათა დარბაზის წევრების სიბილწემდე უხამს შეურაცხყოფას და გაზეთი მხოლოდ ამ უზრდელობის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

მკითხველებს შემთხვევით არ ვთავაზობთ ჩემს იმ ორ **„სათრეველას“,** რომლებსაც ჩვენმა თანამედროვე, მაგრამ საბედნიეროდ არალეგიტიმურმა ლუკა ისარლიშვილმა პროკრუსტეს სარეცელი მიუსაჯა. ამასთან არც თუ მთლად უცნობი რედაქტორი და ჟურნალისტი ვეკითხები როგორც ყველა ჩემს კოლეგას, ისე სამართალდამცველებს, აგვიხსნან, როგორ ახერხებენ ნაციონალები და მათი მხარდამჭერები, რომ ისევ გააცოცხლონ ლუკა ისარლიშვილი?

აკი, ცენზურა აკრძალულია და კანონით ისჯებაო?

როდესაც ბოროტი ძალა ამგვარი თავხედობით იბრძვის, ამის შეუფასებლობა და უპასუხოდ დატოვება დანაშაულის წაქეზების ტოლფასია. ამან გადამაწყვეტინა დაუყოვნებლივ გამომექვეყნებინა თვითმარქვია **„ცენზორის“** მიერ შერისხული **„სათრეველები“** და სიტყვის თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვის გამო ყველას გასაგონად დამერისხებინა ქვეყნის საფიხვნოსთან მომხმობი ზარები.

ალექსანდრე შენგელია

ორი სათრეველა

უთავო თავაძის უაზრო ბჟუტურზე

დენთი არ ყოფნის გიზოსა,
რომ იბრწყინ-იგიზგიზოსა
და დღემდე დაუღვინებმა
სწორედ ამიტომ ინება
„ქუთაისელთა“ გინება,
„ბაღისკიდელთა“ გინება.
ბოდიშით რომ ვერ გვიზღოს და
კვლავ ნაცმაცურად „გვიზლოსა“,
უკვე ყველასგან გარიყულს
ელის თავაძე გიზოსა
ალიყურული ალი ყურს!

* * *

კუმ ისე გააკუანა,
კრუალასავით ყრუალას
მოხვდა მისსივე კუალა!

ალექსანდრე შენგელია

“არასოდეს იომოთ საქართველოსთან”, ანუ რა დაღუპავს რუსეთს – წმინდა მამის წინასწარმეტყველება

(აი, რატომ უნდა გვქონდეს რუსული ეკლესიის იმედი)



“არასოდეს იომოთ საქართველოსთან, ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას... რაც დაღუპავს რუსეთს,” – ეს ცნობილი ფრაზა ღირს სერაფიმ საროველს, უდიდეს რუს წმინდანს ეკუთვნის, რომელიც ერთ-ერთმა რუსულმა საიტმა გარკვეული პერიოდის წინ გამოაქვეყნა. წარსულში რუსეთის ზოგიერთი ხელისუფალი რომ არავის მოსაზრებას არ ითვალისწინებდა, და მით უფრო, წმინდა მამების შეგონებებს არ ისმენდა, ეს ცხადზე ცხადია...

წმინდა სერაფიმს, საროვის უდაბნოში მოღვაწე მამას, განჭვრეტისა და სასწაულთმოქმედების დიდი ნიჭი ჰქონდა. უფალმა ის არაერთხელ გახადა საღვთო ხილვების ღირსი: წირვა-ლოცვის დროს ცხადად ხედავდა ანგელოზებს. განსაკუთრებული მადლით აავსო წმიდა მამა თავად მაცხოვრის გამოცხადებამ, დიდ ხუთშაბათს, საღვთო ლიტურგიაზე. ამ ხილვის შემდეგ ღვაწლი გაამკაცრა.

მოგვიანებით კი ახალი ღვაწლი იტვირთა – ყოველ ღამით, ერთ უზარმაზარ ქვაზე ადიოდა და ხელაღპყრობით ლოცულობდა: **“უფალო, შემიწყალე მე ცოდვილი”.** დღისით კელიაში აგრძელებდა ლოცვას. იქაც ტყიდან მოტანილ ქვაზე იდგა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. წმინდანი ასე 1000 დღე-ღამის განმავლობაში ლოცულობდა.

შემდეგ ღვთისმშობელმა გამოცხადებით, ხალხის სამსახურისაკენ მოუწოდა და იმ დღიდან წმიდანის კელიის კარი ღია იყო ყველა მსურველისთვის. მოძღვარი ჭვრეტდა აღმსარებლის გულებს და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან... ცნობილია, რომ სერაფიმ საროველს გამოცხადებით ემცნო, რომ **“დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო – ივერია, მეორე – ათონის მთა, მესამე – კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე – დივეევო”.**

წმინდა მამის გამონათქვამი, სადაც შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისთვის პირდაპირ არის ნაკარნახევი, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოსთან დაკავშირებით, ზოგიერთ სკეპტიკოსში ეჭვს ბადებს, გამოგონილიაო...

ამ თემაზე კითხვით სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურს, დეკანოზ **პეტრე კვარცხელიას** მივმართეთ:

– წმინდა სერაფიმ საროველის ეს სიტყვები რუსეთთან მიმართებაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მოგეხსენებათ, სარწმუნოება ეროვნული ნიშნით არ გამოირჩევა და ის ყველასთვის ერთია, თუმცა სახელმწიფო მოღვაწეები პოლიტიკურად იყენებენ და სარწმუნოების სახელით, პატარა ერების ჩაგვრას ეწევიან. სწორედ ამიტომ დასჭირდა რუს წმინდანს მსგავსი სიტყვების წარმოთქმა. უპირველესად, ეს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გასაგონად თქვა. დასჭირდა იმიტომ, რომ ხედავდა მშობლიური ერის მესაკუთრულ დამოკიდებულებას საქართველოზე... სასულიერო პირები ყოველთვის იდგნენ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა და ღმერთს თანაბრად სთხოვდნენ, როგორც საკუთარ, ისე სხვა ხალხების კეთილდღეობას, რადგან მათთვის **“სხვა”** არასდროს არსებობდა...

ლალი ფაცია

არნო ხიდირბეგიშვილის პროგნოზები და ედუარდ შევარდნაძის ოცნებები მისი გარდაცვალებიდან მესამე დღეს აღსრულდა – 2014 წლის 11 ივლისს საქართველო ამერიკული დერეფანი ოფიციალურად გახდა!

„ბათუმის პორტის აკვატორიაში ფსკერის გაღრმავების სამუშაო და ახალი ქალაქის – ლაზიკას, მშენებლობა – დაჭაობებულ მოედანზე 9 კვ კმ ფართობით, სოფლებს ყულევსა და ანაკლიას შორის – შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საქართველოში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგებისთვის მზადება. ასეთ შემთხვევაში ლაზიკა – აშშ-ის პირველი სამხედრო-საზღვაო ბაზაა შავ ზღვაზე, რომლის აშენებაზე აშშ გამოყოფს 1 მლრდ დოლარს. თუკი „ჟამი დაჰკრავს“ – ცნობილი გახდება, რომ აშშ ირან-ისრაელს შორის გაჩაღებულ კონფლიქტში ჩარევისათვის ემზადება და უახლოესი საფრენი სივრციდან არჩევანი საქართველოზე შეაჩერა – რუსეთი სასწრაფოდ შემოიყვანს აქ ჯარებს ორი მიმართულებიდან – აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. ეს ახსნილი იქნება ირანის საპასუხო დარტყმის შემთხვევაში რუსეთის მიერ აღიარებული რესპუბლიკების მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით და, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს სამხედრო ბლოკის საბრძოლო ძალების დაუშვებელ სიახლოეში განლაგებით“ – აღნიშნავდა არნო ხიდირბეგიშვილი: გაზეთ **“ასავალ-დასავალ-ისადმი”** მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ასევე გთავაზობთ ნაწყვეტებს არნო ხიდირბეგიშვილის სხვადასხვა ინტერვიუებიდან:

“ქართველ ხალხს ნატოს შესახებ ზღაპრებს „აჭმევენ“, რათა ქართველი სამხედროები ნატოს კონტინგენტის შემადგენლობაში გამოიყენონ „ცხელ წერტილებში“, როგორც იყენებდნენ ერაყში და იყენებენ ავღანეთში, და რათა ირანთან ომის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზა გახსნან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებით. ირანთან ომის, საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის გახსნისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ამერიკული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით – MIM-104 **„პეტრიოტი“** – აღჭურვის შემთხვევაში, რუსეთს შეუძლია ეს რკინიგზა გამოიყენოს გიუმრიში სატრანსპორტო ბლოკადაში მოქცეული თავისი სამხედრო ბაზის მომარაგებისთვის. ამ შემთხვევაში, საქართველო გადაიქცევა დერეფნად, რომელშიც ამერიკაც იგულავებს და რუსეთიც!”

„2013 წლის 17 ივლისს, ტელეარხი **“რუსთავი 2“**-ის ეთერში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ პორტი ლაზიკა სწორედ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის იყო ჩაფიქრებული (ციტატა): „ჩვენ გვქონდა შანსი და ეს შანსი დავკარგეთ, რომ მომავალი წლიდან დიდი ამერიკული ტვირთები წამოგვეღო ავღანეთიდან (ბუნებრივია, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გემებით, რადგან საქართველოს ფლოტი არ ჰყავს – ა.ხ.), რადგან მომდევნო 2-3 წელი იქნება დიდი ტვირთების გამოტანის წლები. ასე აშენდა სინგაპურიც – სინგაპური ააშენა ამერიკის სამხედრო ფლოტმა, ფოთი ააშენა რუსეთის სამხედრო ფლოტმა, იმიტომ რომ ყველაზე ადვილი (ალბათ, მხედველობაში აქვს უპრობლემოდ შემოსავლიანი – ა.ხ.) ტვირთი – სამხედრო ტვირთია (მათ შორის, **“ტვირთი 200“** – ა.ხ.). ჩვენ აი, ახლა გვქონდა ეს ფანჯარა – რომ ავღანური ტვირთები წამოგვეღო, და რკინიგზაც აქვე გადის... ხალხო, აი ეს არის აფხაზეთის რეინტეგრაციის მშვიდობიანი გეგმა!“

„ამერიკას აღარაფერი რჩება გარდა იმისა, რომ კბილებით ჩაებღაუჭოს მის მიერ აბსოლუტურად კონტროლირებად საქართველოს და ამ გზით მიუცოცდეს კასპიის აუზის ორ ქვეყანას – აზერბაიჯანსა და თურქმენეთს, მოხიბლოს, გნებავთ, მიიტყუოს ისინი და ენერგორესურსები თურქეთის გავლით ევროპისკენ გადატყორცნოს! დიახ, საქართველო ამერიკისათვის გახლავთ სახმელეთო სუეცის არხი და დერეფნად მისი სახელდება შევარდნაძის ფანტაზიის ნაყოფი როდია, **„დიდი აბრეშუმის გზა“**, უპირველესად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტი გახლავთ, რომელიც მუშავდებოდა ჯერ კიდევ ედუარდ ამბროსოვიჩის პრეზიდენტობის დროს.“

„ირაკლი ალასანიამ აშშ-ს სატრანსპორტო სარდლობის მეთაური გენერალი პოლ სელვა მიიღო. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში, აშშ-საქართველოს ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის საკითხებსა და სამომავლო გეგმებს. მხარეებმა საქართველოს ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. ყურადღება გამახვილდა ქართული სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობაზე IS-ის საერთაშორისო მისიაში. „ამერიკა საქართველოს გვერდით დგას და ჩვენთან ერთად ზრუნავს, როგორ გახდეს ჩვენი რეგიონი უფრო უსაფრთხო. ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ იმ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებზე, რომელიც საქართველოს აქვს და რომელიც სწორედ იმ ინფრასტრუქტურის ნაწილია, რომლითაც ავღანეთსა და ნებისმიერ სხვა რეგიონში ნატოს ძალების უზრუნველყოფა ხდება“ – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ. აგრეთვე, გენერალი პოლ სელვა საქართველოს რკინიგზის დირექტორს შეხვდა.“

„საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აშშ-ის სამხედრო ძალების სტრატეგიული ტრანსპორტირების (US-TRANSCOM) სარდალს, გენერალ პოლ სელვას შეხვდა. მხარეებმა რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარება განიხილეს, საუბარი ასევე შეეხო საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს. შეხვედრისას, ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი ISAF-ის მისიაში. ამერიკელი გენერალი ავღანეთიდან ნატოს ჯარების გაყვანის კონტექსტში საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით დაინტერესდა. საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ის დელეგაციას სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდა.“

„როგორც შეხვედრაზე აშშ-ის სატრანსპორტო სარდლობის მეთაურმა, გენერალმა პოლ სელვამ აღნიშნა, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა სატვირთო გადაზიდვებისთვის ახალ შესაძლებლობებს იძლევა. „საუბრის ძირითადი თემა იყო საქართველოს წვლილი ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების მისიაში. ჩვენ ასევე განვიხილეთ ლოჯისტიკურ სისტემასთან და ავღანეთიდან საქართველოგავლით ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული საკითხები“, – აღნიშნა გენერალმა პოლ სელვამ შეხვედრის დასრულების შემდეგ. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას აშშ-ს სატრანსპორტო სარდლობის დელეგაციასთან ერთად აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დაესწრო.”

აი, რა აღნიშნა ყოველივე ამის თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა: **„ჩვენ ამ საკითხზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და პორტის აშენების გადაწყვეტილება მივიღეთ მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდა კვლევები და დაიდო კვალიფიციური დასკვნა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ანაკლიის პორტს შესაძლებლობა ექნება მიიღოს დიდი ზომის – ე.წ. პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემები. პორტი შეძლებს 100 მილიონ ტონამდე შერეული ტვირთის გადამუშავებას. ეს მართლაც დიდი მასშტაბებია და უდავოდ იძლევა იმის საფუძველს, რომ ანაკლია გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის საკვანძო ადგილი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივი ლოგისტიკური კვანძი. მე მჯერა, რომ ანაკლიის პორტი იქნება ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი საქართველოსთვის და ეს პროექტი ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენს!“** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პრეზენტაციაზე.

როგორც ბატონი არნო ხიდირბეგიშვილი ასკვნის, **ედუარდ შევარდნაძის ოცნებები მისი გარდაცვალებიდან მესამე დღეს აღსრულდა – 2014 წლის 11 ივლისს საქართველო ამერიკული დერეფანი ოფიციალურად გახდა!**

საქინფორმი

შუკო ჯიქია – 65



"ბედი" – ასე ქვია შუკო ჯიქიას ლექსების პატარა კრებულს, რომელიც 1980 წელს გამოსცა **„მერანმა"** და დღეს, ალბათ, იშვიათობას წარმოადგენს. იშვიათობას – არა თავისი შინაარსითა და პოლიგრაფიული დონით, არამედ იმით, რომ... წიგნი ფიზიკურად, ალბათ, არ არსებობს. ავტორი, რამდენადაც მე ვიცი, ამ წიგნს **„წაწყდომისთანავე"** ანადგურებს. **"ბედი"** შუკო ჯიქიას ძალიან ახალგაზრდას აქვს გამოცემული, თუმცა, ამით წიგნს არაფერი დაუკარგავს. ვისაც პოეზიის რამე გაეგება, ის წამსვე მიხვდება, რომ ნამდვილ პოეტთან და ლექსის მთხზველთან აქვს საქმე... შუკოს კი... (რომელსაც, იმის გარდა, რომ პოეტი და მწერალია, კარგი მკითხველიცაა და მთელი მსოფლიო ლიტერატურა გადაკითხულ-შესწავლილი აქვს), რომელიც საკუთარი თავის მიმართ, ყოველთვის ზედმეტად კრიტიკული და პრეტენზიულია, უბრალოდ არ მოსწონს თავისი **"ახალგაზრდობისდროინდელი ნამუშაკარი"**... კაცია და გუნება, ან იქნებ, კრებულის სათაურისა არ იყოს, ესეც ერთგვარი **"ბედი"** და პიროვნული ტრაგიზმია შემოქმედი კაცისა – არასდროს არ მისცეს საკუთარ თავს იმის უფლება, რომ საკუთარი შემოქმედებით დატკბეს... და კიდევ.... არც იმის უფლებას აძლევს შუკო თავის თავს, საკუთარ სამშობლოზე უკეთესად იცხოვროს.

ბუნებრივია, ბატონი შუკო არც იმას იზამდა, მისთვის იუბილე გადაგვეხადა...

90-იანი წლების დასაწყისში დაინიშნა ის სამეგრელო-ზემო სვანეთის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარედ. 1996 წელს, სტუდენტი ამიყვანა სამსახურში, არა ანგარებით, ან ვინმეს პროტექციით, არამედ იმიტომ, რომ მას წესად აქვს, წინ ახალგაზრდები გაატაროს... აკი, მისი სამსახურის ძირითად ფუნქციადაც ნიჭიერი ახალგაზრდების ეზოში გაცვლა-გადაგზავნა მიანიჭა. ... ამ პრინციპით ჰყავს შემოკრებილი თავის გარშემო ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედები, რომელთაც უფროსი თაობის **"მომავალ რევიზორებს"** უწოდებს, ხოლმე...

თითქმის 20-წლიანი ნაცნობობა მაძლევდა მიზეზს, მეფიქრა, რომ ბატონი შუკო უარს იტყოდა იუბილეზე... სხვებიც ასე ფიქრობდნენ... ამიტომ, პოეტის იუბილე, ფაქტობრივად, პოეტის უჩუმრად დაიგეგმა და მომზადდა. მართალი გითხრათ... იმისიც მეშინოდა, საკუთარი იუბილედან არ გაგვპარვოდა...

ჩაიარა 28 ივნისმა... პოეტის დაბადების დღემ, პოეტის იუბილემ.

ვერ ვიტყვი, რომ ისეთივე დიდებული იყო ზეიმი, როგორიცაა თავად პოეტის ფენომენი, თუმცა ცუდიც არ ყოფილა... შუკო ჯიქიას ცხოვრებას, მის პოეტურ პორტრეტს გავდა ეს დღესასწაულიც – მასავით უბრალო, მასავით ქაოსური, მაგრამ მასავით დიდი და – ...მართალი, გულწრფელი.

უცნაური შეფასებაა არა? – გულწრფელი და მართალი საღამო, ცოტათი შეცბუნების იერი რომ გადაკრავდა... ახლავე აგიხსნით: წინასწარ დადგმული არაფერი არ იყო... (თვით იუბილარის სკამიც კი... უცნაურად მშვენიერი ხის ძირას უცნაური მოკრძალებით იჯდა, სხვა დროს მუდამ ბობოქარი პოეტი) რეპეტიცია არავის გაუვლია კულისებში... თუმცა, ალბათ, ყველა სტუმარი გულში მაინც თავისებურად ემზადებოდა ამ ლამაზი დღისთვის... თავისებურად ამზადებდა მისასალმებელ ტექსტს, მოსაფერებლად.

პოეტის იუბილე გაშლილ ველზე, ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა. ვფიქრობ, ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო ღონისძიების ორგანიზატორებისგან. (საღამოს ინიციატორები იყვნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, კულტურის სამსახური. უშუალოდ – ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრი, **"არტ გალერეა"** და ცენტრალური ბიბლიოთეკა) აკი, შუკო ჯიქიას ჭირის დღესავით სძულს ყოველივე პომპეზური და პომპეზურობა....

ზაურ, გენო, ბიჭებო, აქ ცირკი მომიწყვეს...

თუ ვინმეს ეკუთვნოდა იუბილე და საზოგადოებისგან ასეთი მოფერება, ყველაზე ნაკლებად, ალბათ, მე... ასეთი იუბილე რენე კალანდიასთვის უნდა გაგვემართა, მით უმეტეს მრგვალი თარიღი ჰქონდა მასაც. 25 ივლისს 70 წელი უნდა შესრულებოდაო, უთხრა პოეტ ძმებს, ზაურ და გენო კალანდიებს ბატონმა შუკომ გულწრფელი სინანულითა და თავისი ცნობილი მოკრძალებით, სკაიპით ჩართვისას...

...ცირკი მომიწყვეს, ცირკი მომიწყვეს... მერე, მთელი კვირის განმავლობაში ხმიანდებოდა პოეტის ეს გულწრფელი ფრაზა

...ადგილობრივ ... ...

„ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ!“ – ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲜᲝ ᲮᲘᲓᲘᲠᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ!

ᲩᲐᲤᲘᲣᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠ ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲓᲐᲛᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ (ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ – ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ), ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘ, ᲣᲩᲔᲛᲝᲓᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓᲐᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ **„ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ“** ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ, ᲐᲜᲣ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲐᲛᲓᲔ, ᲛᲘᲒᲔᲥᲕᲐᲜᲐᲗ (ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲨᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ **„ᲑᲝᲚᲝᲛᲐ“** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ!), ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲔᲑᲘ, ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲬ. ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲜᲔᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ! ᲛᲘᲖᲘᲖᲘ ᲙᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲘᲖᲘᲧᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲞᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲚᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲚᲔᲜᲒᲚᲘᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲒᲐᲓᲐᲡᲮᲛᲣᲚᲘ **„ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“**. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲒᲐᲣᲗᲕᲚᲔᲚᲘ, ᲛᲝᲣᲡᲘᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ, ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲚᲐᲮᲐᲕᲘ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲜᲙᲚᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲝᲒᲚᲘ-ᲛᲝᲒᲚᲘᲗ ᲜᲐᲡᲣᲥᲘ ᲨᲝᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲯᲐᲮᲔᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ: ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ ᲙᲘ, ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ, ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲜᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲜ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲖᲦᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ, ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲣᲚ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ!

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲡ ᲣᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲖᲔ, ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲒᲧᲐᲕᲗ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ – ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ **„ᲛᲭᲘᲓᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ“** ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ **„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“** ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲘᲫᲕᲔᲠᲐᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ **„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ“**, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲪᲓᲘᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓᲐᲪ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲔᲗ ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ **„ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ“** ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲔᲜ.

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲝᲗ – ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲯᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲡ (ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲰᲙᲠᲐᲕᲡ!) ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲦᲐᲚᲐᲢᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲒᲐᲢᲝᲕᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲐᲓ ᲓᲐᲒᲠᲩᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ – ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲔᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲕᲫᲚᲝᲗ, ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲝᲒᲘᲡᲬᲠᲝᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲛᲘ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ **„ᲨᲔᲐᲯᲐᲜᲯᲦᲐᲠᲝᲗ“** ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ – ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ, ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ, ᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ! ᲩᲕᲔᲜᲘ **„ᲓᲐᲗᲣᲜᲘᲐ“** ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲠ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ �გᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪᲣᲗᲣ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲛᲓᲒᲑᲐᲠᲔ ᲣᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ: ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓᲐᲪ...

– ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲩᲙᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ... ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ?

– ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲠᲐᲓᲐᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲡᲠᲘᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲐᲩᲔᲜᲡ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ, ᲡᲝᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲗᲔᲐ ᲗᲣᲗᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲕᲠᲘ: – ᲕᲘᲡᲐᲪ ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ. ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲕᲔᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ, ᲗᲣ ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲔᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ.

– ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲝᲠᲝᲨᲘᲜᲙᲝᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

– ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲔᲜᲡ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲔᲠᲬᲣᲜᲔᲗ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ; ᲓᲐᲠᲬᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲐᲛᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ �გᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓᲐᲪ...

– ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲩᲙᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ... ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ?

– ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲠᲐᲓᲐᲪᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲝᲡ, ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲝᲒᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲛᲐᲪ, ᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲒᲐᲝᲒᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ... ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲗᲝᲜᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲮᲓᲝᲗ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲩᲒᲐᲕᲓ...

– ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲘᲕᲘᲓᲔᲜᲓᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲘᲓᲐᲜᲖᲔ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

– ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ, ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲔᲘᲓᲐᲜᲖᲔ ᲘᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲡ, ᲒᲘᲜᲓᲐ ᲨᲐᲚᲐᲮᲝ ᲘᲪᲔᲙᲕᲝᲡ... ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ.

ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ: – ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲠᲐᲢᲝᲛᲓᲐᲪ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ – **„ᲡᲣᲨ“** (ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ **„ᲡᲣᲨ“** ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ **„ᲩᲣᲛᲐᲓ“**, ᲠᲐᲪ, ᲕᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑ, ᲨᲔᲔᲡᲐᲢᲧᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲡ). **ᲡᲣᲨ**-ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲐ, **ᲨᲡᲨ**-ᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲓᲐᲜ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ **„ᲡᲣᲯ“** ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲓᲐ (ᲘᲒᲘᲕᲔ ᲑᲠᲔᲜᲓᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ **“ᲙᲒᲑ”**). ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲨᲗᲐᲑᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ **„ᲡᲣᲨ“**-ᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓᲐᲐ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲘ, ᲣᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ, ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲚᲔᲢᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲖᲠ

დაიჭირეს! თავსა სჭრიან, რატომ კარგი შეუქმნია!?

ვაგრძელებთ თემის განხილვას, რომელიც ეხება სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის ბრძოლას ჯერ კიდევ მყარად ფეხზე მდგარ ფარმაკომაფიასთან, რომელიც საბოტაჟის რეჟიმში იმყოფება და ყოველნაირად უშლის ხელს ნაცების მიერ გაღატაკებული ხალხის საკეთილდღეოდ საყოველთაო სამედიცინო რეფორმების გატარების პროცესებს!

დიდოსტატ არსაკიძის პერსონაჟის შედარება ჩემი წერილის გმირთან და ჩემგან მათი ერთმანეთთან გაიგივება შემთხვევითი არ არის.

დიდ კონსტანტინე არსაკიძეს მარჯვენა მოსჭრეს იმის გამო, რომ, მან უნიკალური და უდიდესი ხელთუქმნელი ძეგლი შექმნა მცხეთაში და ამ სიკეთის მქმნელი უკაცურად დასაჯეს.

ჩემი წერილის გმირს კი იმის გამო სჭრიან თავს, რომ მისმა ტვინმა და გონებამ ღვთის მადლითა და ღმერთის შთაგონებით ბალახეული ინგრედიენტებისაგან ნაზავი პროდუქტით, ყოველგვარი ქიმიური ნივთიერების გარევის გარეშე, შექმნა სასწაულმოქმედი სამედიცინო სამკურნალო პრეპარატები **„დომენტოლი“** და **„გაგენოლი“**.

დიახ, დომენტი გაგნიძე გახლავთ ის სახალხო მკურნალი, რომელმაც შესძლო აღმოეჩინა უნიკალური სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც 21-ე საუკუნის პანაცეად შეიძლება ჩაითვალოს.

სახალხო მკურნალს პრობლემები შემდეგი თანმიმდევრობით შეექმნა. ჯერ კიდევ 2010 წლის 18 იანვარს დომენტი გაგნიძეს აღნიშნული წამლები დაურეგისტრირა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, რომლებიც მანვე, ერთი წლის შემდეგ, ბათილად სცნო.

ამ აშკარად მავნებლურ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ თითქოს დ. გაგნიძის მიერ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში წარმოდგენილი კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის ანგარიში **თსუ**-ს ა.ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში არ იყო შექმნილი. დოკუმენტზე დასმული ბეჭედი არ ეკუთვნის მორფოლოგიის ინსტიტუტს და დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა მისი დირექტორის ა.კორძაიას მიერ არ არის შესრულებულიო. აქვე, მკურნალს აცნობეს, რომ სამართლებრივი შეფასებისათვის მასალები გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

ამ საკითხთან დაკავშირებით, დ. გაგნიძის განმარტებით, ხსენებული დოკუმენტის გაყალბებაში მას არავითარი წვლილი არ მიუძღვის და საერთოდ მონაწილეობა არ მიუღია. მას დაინტერესებულმა პირებმა მოუწყეს პროვოცირება, რადგანაც იგი გახდა წარმატებული მკურნალი, რაც ფარმაკომაფიის ბოსებისათვის მიუღებელი გახლდათ.

რაც შეეხება დოკუმენტის გაყალბების ფაქტს, დ. გაგნიძე ხსნის შემდეგნაირად – 2010 წელში მასთან ნდობაში შევიდა ვინმე ექიმი დავით მეტრეველი, რომელმაც დ. გაგნიძესთან დაიწყო მუშაობა. ეს დავით მეტრეველი შეუჩნდა დ. გაგნიძეს და დაარწმუნა, რომ მის წამლებს არ დაარეგისტრირებდნენ, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არ იქნებოდა მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკურ-ექსპერიმენტული დასკვნა და შეპირდა, რომ პრეპარატების გამოკვლევას ამ ინსტიტუტში თვითონ გაუწევდა ორგანიზებას. წაიღო პრეპარატების გამოკვლევისათვის ნიმუშები და ორი თვის შემდეგ მოიტანა დასკვნა, რომელიც წამლის დადებით ეფექტიანობის თაობაზე იუწყებოდა და გაცემული იყო ა.ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ, რომელზეც დარტყმული იყო ინსტიტუტის ბეჭედი და დასმული ჰქონდა ინსტიტუტის დირექტორის ა. კორძაიას ხელმოწერა.

ბუნებრივია, გაგნიძე ვერ დაადგენდა დოკუმენტის სიყალბეს, რადგან ვიზუალურად დასკვნა არავითარ ეჭვს არ ბადებდა. იგი შეუმჩნეველი დარჩა სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვისაც, რომელმაც პრეპარატები გაატარა რეგისტრაციაში. მაგრამ დოკუმენტის სიყალბე შეამჩნიეს მაშინ, როცა ის საჭირო იყო. შეამჩნიეს საჭირო დროს და საჭირო ვითარებაში. დ. გაგნიძე მაშინაც და დღესაც სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ დასკვნა მას არ გაუყალბებია, ამის თაობაზე არაფერი იცის და იგი გააყალბა დავით მეტრეველმა, რომელი პიროვნებითაც გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა. მეტრეველმა უნდა ახსნას, თუ როგორ გააყალბა აღნიშნული დოკუმენტი, ვისი მეშვეობით, სად მოიძია ინსტიტუტის ბეჭედი, ინსტიტუტის დირექტორის ა. კორძაიას სახელით ვის მოაწერინა ხელი თუ თვითონ შეასრულა ხელმოწერა. და რაც მთავარია საკუთრივ დასკვნა სამედიცინო ტერმინოლოგიითა და მისი შედგენის სტანდარტული ფორმებისა და ტექნოლოგიების დაცვით ვის შეადგენინა – თვითონ დაწერა თუ სხვას დააწერინა? ამ პარამეტრების გათვალისწინებით გაგნიძე რომ დასკვნას რომ ვერ შეადგენდა – ფაქტია. იქნებ საქართველოს მთავარი პროკურატურა დაინტერესდეს დ. მეტრეველის პიროვნებით და ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყოს გამოძიება. იქნებ დოკუმენტის გაყალბებაში სხვა თანამდებობის პირებიც არიან გარეულები?

რაც შეეხება დ. გაგნიძეს, მის მიმართ საქმე სასამართლოში წარმოებით შეწყდა, მაგრამ მაინც გაუგებარია, სასამართლოს რამ მოტივებზე დაყრდნობითა და ფაქტების მოშველიებით უნდა დაედგინა გაგნიძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი?!

გამოძიების ყურადღებას მივაპყრობ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე: გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატები არ ითვლებიან სამკურნალო-საინექციო წამლებად, ისინი დარეგისტრირდნენ როგორც პარასამკურნალო-იმუნოგამაძლიერებელი პრეპარატები, რომელთა რეგისტრაციისათვის, საქართველოს კანონის შესაბამისად, საჭირო არ გახლდათ მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნა.

გაგნიძის პრეპარატების ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციისათვის საჭირო იყო მხოლოდ **თსუ**-ს წამლისა და ფარმაცევტული სამკურნალო საშუალებების კვლევის ცენტრის დასკვნა, რაც ზუსტად იქნა შესრულებული. დღეს მომქმედი კანონი ზუსტად განსაზღვრავს პროცედურულ ყველა საჭირო მოქმედებას, რაც აუცილებელია პარასამკურნალო საშუალებების სახელმწიფო ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციისათვის და ამ ჩამონათვალში ან ამავე კანონის სხვა ნებისმიერ ნორმაში მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს და იგი ყალბიც რომ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა მის საფუძველზე რეგისტრაციის გაუქმება, რადგან დ. გაგნიძის წამლები არის პარასამკურნალო პრეპარატები, იმუნოგამაძლიერებლები და არა საინექციო სამკურნალო წამლები.

მაგრამ, რა ავტორის ბრალია, რომ **„დომენტოლი“** და **„გაგენოლი“** დადებით ეფექტს იძლევა, როგორც ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის, ისე გაფანტული სკლეროზით დაავადებულებისათვის. აღნიშნულზე არსებობს ასობით პაციენტის სამადლობელი წერილები და პუბლიკაციები, ასევე, წიგნები და ბროშურები.

„დომენტოლი“ და „გაგენოლი“ გამოკვლეულია არაერთი საექსპერტო დაწესებულების მიერ და დადგენილია, რომ იგი მომხმარებლისთვის არის უსაფრთხო და სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, აღნიშნული პრეპარატები გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომელთა მიერ, შემოწმების შედეგებზე სხვადასხვა ასპექტით და მახასიათებლებით, გაცემულია სამი დადებითი დასკვნა, რომლებშიც ხაზია გასმული წამლების უნიკალურობაზე.

„დომენტოლი“ და **„გაგენოლი“** გამოიკვლიეს, ასევე, შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალში, წამლისა და ფარმაკოლოგიური საშუალებების შესწავლის ცენტრში, შპს **„წამლის ხარისხის ცენტრში“**, შპს **„იმპულსში“** – ყველანი ხაზს უსვამენ პრეპარატების უნიკალურობას.

ამრიგად, გაგნიძის პრეპარატების რეგისტრაციის გაუქმების არანაირი მიზეზი არ არსებობს და რეგულირების სააგენტო ვერ წარმოადგენს თუნდაც ერთ პაციენტს, ან ფაქტს, რომ დ. გაგნიძის წამლების მიღებამ მომხმარებელს უკუჩვენება მისცა.

მაშ რა მოხდა? რაშია საქმე? რას ერჩის ფარმაკომაფია დ. გაგნიძეს?

მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნის გაყალბება და მისი დ. გაგნიძისათვის მიწერა იყო მხოლოდ პროვოკაცია, რათა სახალხო მკურნალს ფარმაკომაფიისათვის კონკურენცია არ გაეწია. მისი პრეპარატების წყალობით უამრავი პაციენტი გამოჯამრთელდა, ბევრს ჯანმრთელობა გაუმჯობესდა სიცოცხლე შეუნარჩუნდა ან გაუხანგრძლივდა. სამადლობელო წერილებს შორის შეხვდებით იმ პაციენტებს, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ მძიმე ონკოლოგიური სენით, გაფანტული სკლეროზით, შაქრის დიაბეტით, პარკინსონით...

ამიტომაც დაირაზმა გაგნიძის წინააღმდეგ ფარმაკომაფია და 2011 წელს პატარკაციშვილების ოჯახისათვის ბანდიტურად წართმეულ ტელეარხ **„იმედის“** და მისი ერთერთ ტელეწამყვანის, ჟურნალისტად წოდებული არამზადის ნოდარ მელაძის პროვოკაციული გადაცემით მოახერხეს წესიერებით გამორჩეული სახალხო მკურნალის წინააღმდეგ **„შავი პიარის“** აგორება, შეეცადნენ მკურნალის სახელისა და ღირსების შელახვას, რასაც ნაწილობრივ მიღწიეს კიდეც.

დომენტი გაგნიძე კი დიდად დაფასებული გახლდათ სამეცნიერო წრეებში. 2010 წლის 18 ოქტომბერს იგი აირჩიეს საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. დაჯილდოებულია ჟურნალისტთა კავშირის საპატიო დიპლომით.

საქართველოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ოფიციალური კურთხევა მისცა გაგნიძეს და ხალხის სამსახურისათვის დალოცა. ფარმაკომაფიამ ამას ანგარიში არ გაუწია და ომი გამოუცხადა გაგნიძეს. მართალია გაგნიძემ წაიფორთხილა, მაგრამ მაინც არ წაქცეულა, უფრო გაძლიერდა და ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. მედგრად იბრძვის და საზოგადოების მხარში დგომის დიდი იმედი აქვს. გაგნიძის სურვილია, რომ საზოგადოებამ დაიჯეროს მისი. უფლის იმედიც აქვს, რადგან მისნაირ ადამიანებზეა ნათქვამი: **“მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“**-ო.

გვინდა საზოგადოებას კიდევ ერთხელ განვუმარტოთ, რომ გაგნიძის შთაგონებით შექმნილი პრეპარატები იძლევა სასწაულმოქმედ ეფექტს ისეთი მძიმე და თანამედროვე მედიცინისათვის ჯერ კიდევ განუკურნებელი დაავადებების წინააღმდეგ, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. **„დომენტოლისა“** და **„გაგენოლის“** მეშვეობით ასეულობით ადამიანი გამოჯანმრთელდა, ბევრის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, ბევრ მათგანს შეუნარჩუნდა სიცოცხლე, ბევრს კი გაუხანგრძლივდა. სახალხო მკურნალმა ბევრი პაციენტი წამოაყენა ლოგინიდან, ბევრს გადააგდებინა ინვალიდის ურიკა...

იცით დ. გაგნიძის ღირსება კიდევ რაშია? იგი უკან არ აბრუნებს და მკურნალობს იმ ავადმყოფებს, რომლებსაც ვერაფერს შველიან სამედიცინო დაწესებულებები და სტაციონარიდან მშვიდი სახითა და ცივი გონებით უშვებენ სახლებში, როგორც, უიმედო პაციენტებს და მათ ისდა დარჩენიათ, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედებით გაბრუებულები, ან ტკივილისგან გათანგულები, საკუთარ სახლში ლოგინს მიჯაჭვულები მშვიდად დაელოდონ სიკვდილს. დომენტი გაგნიძე კი ამ ავადმყოფებს სრულად თუ ვერ ჰკურნავს, სიცოცხლეს მაინც უხანგრძლივებს და ტკივილებს უყუჩებს. ამას ადასტურებს ათასობით სამადლობელო წერილი...

დ. გაგნიძის სამკურნალო პრეპარატები ჰკურნავს ასეულებს და ათასეულებს და კიდევ უფრო მეტსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს უხერხებს ერთეულებს: ჯიბის წურბელებს, მაფიოზებს, გაუმაძღრებს და თაღლითებს, რომლებიც მაფიოზური ჟინით არიან შეპყრობილი, რომლებიც ადამიანთა ჯამრთელობითა და სიცოცხლით სპეკულირებენ, რათა იშოვონ მილიონები და დაავადებული ხალხი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის სჭირდებათ. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთები მხოლოდ ერთეულებია. სწორედ ისინი არიან დაინტერესებულები ჩაიძიროს დომენტი გაგნიძე, განადგურდეს მისი იდეა და უცხოეთიდან კაპიკებად შემოტანილი პრეპარატები მამასისხლად მიჰყიდონ მოსახლეობას. ჯერ კიდევ ძლიერია საქართველოში ფარმაკომაფია, რადგან მისი ბოსები ახლა პარლამენტის ოპოზიციაში სხედან და იქიდან აკონტროლებენ სიტუაციას ფარმაკობაზარზე.

მაგრამ ისმება კითხვა: ამ ერთეულთა თუ გინდ ათეულთა სიკეთე ვარჩიოთ თუ ათასი და მილიონი ადამიანის სიცოცხლე, რომლებიც დ. გაგნიძის წამლების მიღებით ესოდენ ნანატრ შვებას გრძნობენ?!

სიცოცხლე და ჯამრთელობა ხომ ღვთისაგან ბოძებული ბედნიერებაა და მის დაცვა-შენარჩუნებაზე ზრუნვა ყველა მოკვდავის წმიდათაწმიდა მოქალაქეობრივი ღირსების საქმეა?! სწორედ ამ იდეით ცოცხლობს და საქმიანობს დომენტი გაგნიძე, ეს პათოსი ჩანს მის პოეტურ შემოქმედებაშიც, რომელსაც ასევე დიდი ყურადღებას უთმობს.

მომავალში დ. გაგნიძე ალბათ იმ პრეპარატსაც გამოიგონებს, რომელიც სრულყოფილად უმკურნალებს იმ ერთეულებს და ათეულებს, რომლებიც თავიანთი გაუმაძღრობით ადამიანს ისე უყურებენ, როგორც ფულის მოხვეჭის საშუალებას და როგორც ბანკში დაბანდებულ ფულს.

და ბოლოს, თხოვნით, და თუნდაც ხვეწნით მივმართავ იმ კომპეტენტურ თუ უფლებამოსილ ორგანოებს, ვისაც ხელეწიფება აღნიშნული სადავო საკითხის გადაწყვეტა და მოვუწოდებ, რომ გულთან მიიტანონ ზემოთ თქმული და მხარში ამოუდგნენ დ. გაგნიძეს, რათა მან კვლავ დაარეგისტრიროს ზემოთ დასახელებული პრეპარატები. ამავე დროს, დომენტი გაგნიძე კატეგორიულად მოითხოვს, რომ საქმეში არ იქნას გათვალისწინებული მისი **“აღიარებითი”** წერილი, რომელიც მას მოტყუებით დააწერინა წამლის სააგენტოს მაშინდელმა უფროსმა მერაბ ურუშაძემ, რაც ასევე სისხლის სამართლის დანაშაული გახლავთ!

გაგნიძის პრეპარატების კანონიერად რეგისტრაციით იქნებ გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფმა საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა ცოტათი მაინც შვებით ამოისუნთქოს – მორალურ და ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფმა ხალხმა ფიზიკური ტკივილისაგან მაინც დაიხსნას თავი!

დიახ! ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ გვინდა დ. გაგნიძეს, არსაკიძის მსგავსად, სიკეთის გაკეთებისათვის, სასიცოცხლო იდეის შექმნისათვის – **„თავი მოსჭრან“**. იქნებ ამ უბედურებისგან იგი როგორმე ვიხსნათ, ისევ და ისევ ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

გიორგი ბერიაშვილი

დ. გაგნიძის წარმომადგენელი, იურისტი

P.S. რაღა შორს მივდივართ, როცა გაგნიძის წამლების სასწაულმოქმედება საკუთარ თავზე გამოვცადე. 2014 წლის თებერვალში თავი ცუდად ვიგრძენი და გავიკეთე სკანირება, რის შედეგადაც დამიდგინდა უმძიმესი ონკოდაავადება – პროსტატის ადენოკარცინომა. სპეციალისტებმა კარგად იციან თუ რას ნიშნავს ეს დიაგნოზი – ავთვისებიანი სიმსივნის არეალში ჩათრეული იყო თირკმელები და სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანოები, იოლად ვიღლებოდი, დამეუფლა დაავადებისათვის დამახასიათებელი დეპრესია... როგორც იტყვიან, “ბოლო გაჩერებამდე” რამდენიმე მეტრიღა რჩებოდა... ლამის გამომიტირეს ახლობლებმა, რადგან კლასიკური სამედიცინო ჩარევა დიდ იმედებს ვერ იძლეოდა. და აი, გაგნიძის პრეპარატების პირველივე კურსის მიღების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გამიუმჯობესდა, გაიწმინდა სხეული, სიმსივნის მძიმე გავლენისაგან განთავისუფლდნენ სასიცოცხლო ორგანოები, აღმიდგა სასიცოცხლო ძალები და ჩვეულ რიტმში ვაგრძელებ საქმიანობას!

ამიტომაც მჯერა გაგნიძის პრეპარატების სასწაულმოქმედების!

როლანდ ჯალაღანია,

გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი

ქართული ფეხბურთის ნატანჯი და დაუფასებელი პატრიარქი

“ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს” – აკაკი წერეთლის ეს სიტყვები დღევანდელ ქართველობასაც ეხება.

დაახლოებით ორი თვის წინ, 25 აპრილს, ანდრო ჟორდანიას გარდაცვალებიდან 40 წელი შესრულდა, უფრო ადრე კი, გასული წლის 29 დეკემბერს – დაბადებიდან 110 წელი, მაგრამ ეს ამბავი არავის გახსენებია...

...არადა, ლაპარაკია ქართული ფეხბურთის პატრიარქზე. ეს სულაც არ არის გადაჭარბებული შეფასება.

ანდრო ჟორდანია 1922 წლიდან თბილისის სხვადასხვა გუნდში თამაშობდა, 1925 წელს, ახალშექმნილი თბილისის **“დინამოს”** პირველ კაპიტნად აირჩიეს, სადაც 1925-28 და 1930-31 წლებში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ. სხვადასხვა წლებში გამოდიოდა კიევის **“დინამოში”**, ივანოვოს **“ოსნოვაში”**, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებში.

კინორეჟისორებთან – ლევან ხოტივარსა და ნიკოლოზ სანიშვილთან ერთად, ჩამოაყალიბა გუნდები ქუთაისში, ლანჩხუთში (**ᲙᲘᲛ**-ი, რომელსაც 1960 წლიდან ეწოდა **“გურია”**), თბილისის უნივერსიტეტში, 1925 წელს კი – თბილისის **“დინამოს”** დაფუძნებაშიც მონაწილეობდა.

ჟორდანიამ მწვრთნელობა 1936 წელს დაიწყო და საყვარელ საქმეს 30 წელი ემსახურა. ერთი ხანობა, ის ივანოვოს **“სპარტაკსა”** და **“ოსნოვასაც”** ავარჯიშებდა, 1945-47, 1955 და 1959-61 წლებში – თბილისის **“დინამოს”**. უმუშავია თბილისის **“სპარტაკში”**, ტყიბულის **“მეშახტესა”** და ქუთაისის **“ტორპედოში”**.

მისი ხელმძღვანელობით **“დინამო”** 3-ჯერ (1946, 1947, 1959) გახდა სსრკ-ის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, 2-ჯერ (1946, 1960) გავიდა თასის ფინალში, იყო საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ჟორდანიამ დააყენა დიდ გზაზე გივი ჩოხელი, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, გურამ ცხოვრებოვი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გურამ პეტრიაშვილი, ზაურ კალოევი...

რომან მიმინოშვილმა ანდრო ჟორდანიას მოგონებებზე დაყრდნობით დაწერა წიგნი – **“ფიქრები ქართულ ფეხბურთზე”**.

წლების შემდეგ, იოჰან კრუიფი, თავის წიგნში, მსგავს მოსაზრებებს ინდივიდუალიზმსა და უნივერსალიზმზე ერთიერთზე გაიმეორებს. შეიძლება ითქვას, რომ **“ფიქრები ქართულ ფეხბურთზე”** ჩვენი მწვრთნელებისთვის სახელმძღვანელოდ გამოდგება, მაგრამ მის ხელახლა გამოცემაზეც არავინ ზრუნავს.

ანდრო ჟორდანია 1974 წლის 25 აპრილს თბილისში გარდაიცვალა. **“დინამოს”** საწვრთნელი ბაზა დღემდე ამ ლეგენდარული პიროვნების სახელს ატარებს. მაგრამ, მისი სახელი და ქვეყნისთვის გაღებული ღვაწლი გაცილებით მეტ დაფასებასა და სიყვარულს იმსახურებს.

ჟორდანიას პირდაპირი შთამომავალი არ დარჩა და თავისი დის, ნინა ჟორდანიას ვაჟები – ომარ ფადავა და ბადრი გოგოძე გაზარდა. შოთა ფადავა, რომელიც ლეგენდარულ მწვრთნელზე გველაპარაკა, ბატონი ომარის ვაჟია:

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

– როგორც ნოე ჟორდანია ავტობიოგრაფიულ წიგნში – “ჩემი ცხოვრება” – წერდა, 1831 წელს ფოთში გემით ჩამოვიდა სამი გენუელი ვაჭარი ძმა, გვარად ჯორდანები. ჰოდა, ჟორდანიები მათი შთამომავლები ვართო...

– დიდი ნოეს ნათქვამში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ გამაჩნია.

– მერაბ ჟორდანია ანდროს ნათესავია?

– დიახ, მაგრამ ძალიან ახლო ნათესავიც არ არის. სიმართლე გითხრათ, მერაბი სულ ერთხელ მყავს ნანახი.

– ანდრო ხალხს კი უყვარდა, მაგრამ ხელისუფლება ხელს რატომ უშლიდა?

– **“ძაღლის თავიც”** სწორედ აქ არის დამარხული – საქართველოს პირველი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის მეთაური ნოე ჟორდანია ანდროს ბიძა იყო – მამის ძმა. ამის გამო, პრობლემები სიცოცხლის ბოლომდე არ მოჰკლებია – გააწვალეს, დააპატიმრეს, მერეც ციხეს რამდენჯერმე ბეწვზე გადაურჩა. ბოლომდე მუშაობა არც ერთ კლუბში არ აცადეს. არადა, ყველგან უნიჭიერესი მოთამაშეები აღმოაჩინა. სამწუხაროდ, მამა შარშან გარდაიცვალა და თან ბევრი საინტერესო ისტორია წაიღო. მაგრამ რაღაცები მაინც ვიცი.

– ნოეს ძმისშვილი საქართველოში როგორ დარჩა?

– დედაჩემისთვის, რომელიც შვილივით უყვარდა, ეს ამბავი აქვს მონათხრობი – თურმე, მენშევიკურ მთავრობასთან ერთად ევროპაში ბათუმიდან უნდა გამგზავრებულიყო. ნოემ თავად წაიყვანა, მაგრამ 16 წლის ბიჭი, თოფით ხელში, თავის დასთან, ნინასთან ერთად გემიდან გამოიპარა.

ნოე ეხვეწებოდა, მაგრამ არაფრით წაჰყვა, საქართველოსთვის არაფერი დამიშავებია და წასასვლელი არაფერი მჭირსო. აქედან დაიწყო კიდეც მისი მარტვილობა. ნოესთან ურთიერთობა აღარ ჰქონდა, მაგრამ საქართველოს **“გაწითლების”** პერიოდი მისთვის მაინც მძიმე აღმოჩნდა.

– როგორც ვიცი, თავად დაოჯახებული არ იყო...

– ოფიციალურად დაოჯახებული არ იყო, მაგრამ ივანოვოში ჰყავდა მეუღლე და ვაჟიშვილი, რომლებიც ომის დროს დაიღუპნენ. შვილებივით კი მამაჩემსა და ბიძაჩემს ზრდიდა. მე კი იმით დამამახსოვრდა, რომ უაღრესად თბილი და მოსიყვარულე ბაბუა იყო.

– როგორც ვიცი, ივანოვოში გადასახლებული იყო. რატომ?

– 1938 თუ 1939 წელს დააკავეს. ზუსტად ვერაფერს გეტყვით.

– დახვრეტას როგორ გადაურჩა?

– ლავრენტი ბერიას ადიუტანტმა და მარჯვენა ხელმა, ბახჩო ქობულოვმა გადაარჩინა, ბერიას დახმარებით....

– ამბობენ, ქობულოვი ცნობილი კაცისმკვლელი იყოო და ეს როგორ?!

– საქმე ისაა, რომ ანდროს დის, მატილდას ქმარი იყო ამიერკავკასიის ციხეების უფროსი და მის სახლში ბერია და ბახჩო ხშირად სტუმრობდნენ. მიუხედავად ამისა, რეპრესიებს ისიც ვერ გადაურჩა. როგორც უამრავი ადამიანი, ისიც დახვრიტეს, ქალბატონი მატილდა კი გადაასახლეს.

ბახჩო პატივს სცემდა ანდროს და შეეცოდა, თავს მე ნუ დამაჭერინებ, ჯობია, წახვიდეო. ანდრო ივანოვოს მანამდეც სტუმრობდა და იქ დასახლდა. მაგრამ 1938 თუ 1939 წელს იქ დაიჭირეს, თუმცა არ გაუსამართლებიათ. ზუსტად არც ვიცით, ციხეში რამდენი წელი იჯდა. ანდრო ჰყვებოდა – ომი რომ არ დაწყებულიყო, ციხეში ამომალპობდნენო.

– ომში როგორ მოხვდა?

– ომმა ციხეში მოუსწრო. თხოვნა დაუწერია – დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება საკუთარი სისხლის ფასად მომეცითო. რა დანაშაული ჰქონდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი გზა ეს იყო. 1941 წლის ბოლოს ციხიდან საჯარიმო ბატალიონში გადაიყვანეს და მოსკოვისთვის ცნობილ ბრძოლაშიც მონაწილეობდა. იქ თურმე საზარბაზნე ხორცად აქციეს – 400 კაცს 4 თოფი მისცეს და გამოუცხადეს, გერმანელების სანგრებამდე მიაღწიეთო. მათ, ვინც მეთაურის ნებართვის გარეშე უკან იხევდნენ, ცუდად მისდიოდათ საქმე...

– ბერლინამდე ჩავიდა?

– არა. გამოიარა სტალინგრადის ბრძოლა, 1942 წელს კი კურსკთან ბრძოლაში ნაღმის ნასხლეტი ხელსა და თავში მოხვდა და ხელი გაუფუჭდა. ეს ისტორია ამით არ დასრულებულა – ჰოსპიტალში გადაყვანისას ეშელონი დაიბომბა და ფეხებშიც დაიჭრა. ეს ჭრილობები მთელი ცხოვრება აწუხებდა. მართლაც სასწაულია – სამართებლის პირზე გაიარა და გადარჩა. მატარებლით თბილისში ჩამოიყვანეს და ბაქოში გადაჰყავდათ, როცა სიძეს, ბიძინა გორგოძეს მიაწვდინა ხმა. ერთი ბოთლი არყის ფასად, თუ როგორ, არ ვიცი, მაგრამ ბიძინამ მისი თბილისში დატოვება მოახერხა. მით უმეტეს, ექიმების ვერდიქტი მაშინვე იყო ცნობილი – სრული გაკომისიავება.

– სიტყვა “დიავოლს” (ეშმაკი) რატომ ხმარობდა?

– არ ვიცი. სხვათა შორის, გიზო ჟორდანია ჩვენი ნათესავია და ისიც, სტუდენტებთან, მსგავს სიტყვას მოწონების ნიშნად ხმარობს.

– ანდრო ჩაკეტილი ადამიანი ყოფილა...

– ესეც ცხოვრებისგან იყო. ბოლშევიკების შიში ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, **“დინამოში”** დიდხანს რომ არ აჩერებდნენ, მის მიმართ კომუნისტების უნდობლობა იყო. მათ და ფაშისტებს ერთად აგინებდა. ერთ ამბავს მოგიყვებით: ომის შემდეგ თბილისის **“დინამოს”** პარიზში გაჰყვა. ჩამოვიდა თბილისში და ბებიაჩემს უკითხავს – იქ ჩვენს ნათესავებს თუ შეხვდიო? რას ამბობ, მაგათ როგორ შევხვდებოდი, იქვე დამაპატიმრებდნენო!

ბებიაჩემი 1967 წელს გარდაიცვალა. ეს ამბავი თბილისში პარიზის საბალეტო დასის გასტროლებს დაემთხვა, სადაც ნოეს შვილისშვილი, პრიმა-ბალერინა ეთერ ფადავა ცეკვავდა. ეთერი პანაშვიდზე მოვიდა, მაგრამ ანდროს ისე ეშინოდა ემიგრანტებთან ურთიერთობის, რომ სახლიდან გაიქცა და არ შეხვდა. ციხის შემდეგ სიფრთხილე სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

– სხვათა შორის, ბევრმა არც იცის, როგორ მოხვდა თბილისის “დინამო” 1964 წლის “ოქროს მატჩში”...

– ეს ქუთაისის **“ტორპედოს”** დამსახურება იყო, რომლის მთავარი მწვრთნელიც მაშინ ანდრო ჟორდანია გახლდათ. ჩემპიონატის ბოლო ტურში ქუთაისელები **“დინამოს”** ხვდებოდნენ. **“ტორპედოს”** 26 ქულა ჰქონდა, გავარდნის პირას იყო და წაგების შემთხვევაში, პირველ ლიგაში დაქვეითდებოდა. **“დინამო”** კი მოგებით ავტომატურად ჩემპიონი ხდებოდა.

რა გინდა, რომ ჰქნა? ანდრო საშინელი დილემის წინაშე იდგა. ქართულ გუნდს პირველად ჰქონდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის რეალური შანსი, რაც მისი ოცნება იყო. მეორე მხრივ, **“ტორპედოსაც”** ვერ გაწირავდა...

მოკლედ, **“ტორპედომ” “დინამოს”** ბრძოლა გაუმართა და მატჩი 1:1 დასრულდა. საბოლოოდ, **“დინამოს”** მოსკოვის **“ტორპედოსთან” “ოქროს მატჩის”** ჩატარება მოუხდა, ქუთაისის **“ტორპედომ”** კი გადათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და მასაც გადამწყვეტი მატჩი ტაშკენტში ჰქონდა, **“დინამოს”** ისტორიული გამარჯვებიდან ოთხი დღის შემდეგ. **“ტორპედომ”** 4:2 მოიგო. ანდროს კი, **“დინამოსთან”** ფრეს შემდეგ, ხელისუფლებამ **“მადლობა”** თავისებურად გადაუხადა – სპორტკომიტეტიდან მისი გათავისუფლების ბრძანება მოვიდა.

– მაშინდელ ხელისუფლებას ასეთები ნამდვილად “ეხერხებოდა”...

– გულწრფელი მადლობა გულშემატკივრებმა გადაუხადეს – ამ ბრძანებით აღშფოთებული ქუთათურები ანთებული ჩირაღდნებით აღმასკომის შენობას მიადგნენ. კომუნისტებს ფეხბურთის გამო რევოლუცია არ აწყობდათ და ანდრო აღარ გაათავისუფლეს. მაგრამ ეს ამბავიც იყო იმის გამოხატულება, როგორ ექცეოდა მაშინდელი ხელისუფლება ადამიანს, რომელმაც ქართულ ფეხბურთს უზარმაზარი სამსახური გაუწია. ამხელა უმადურობის გამო, ანდრო ჟორდანიამ საფლავში უდიდესი ტკივილი წაიღო...

გაზეთი **“ლელო”** ადრე წერდა: 1953 წელს ბერიამ დინამოელებს სტალინის სიტყვები გადასცა – ჭკუით იყავით, რუსების იმპერიაში თქვენთვის მეორე ადგილიც ბევრიაო. როცა **“დინამო”** წარმატებებს აღწევდა, ჩვენში ეროვნული სული იღვიძებდა, რაზეც მოსკოვში გიჟდებოდნენ.

ამიტომ იყო, 1961 წლამდე ჩემპიონები მხოლოდ მოსკოვის გუნდები რომ ხდებოდნენ, 1953 წელს კი **“დინამოს”** ოქროს მედლების მოპოვების შანსი ძალით წაართვეს.

ანდრო ქართულ სულს აღვიძებდა და რაში აწყობდათ?!

რ. პაიჭაძე

“მის კარიერას დასავლეთში წერტილი დაესმებოდა” – მწერალი დიმა ობოლაძეს, რუსების “ღორებად” მოხსენიების გამო, რასიზმში აღანაშაულებს

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მწერალი და დოკუმენტალისტი პაატა ქურდაძე სოციალურ ქსელში **“რუსთავი 2”**-ის წამყვანს, დიმიტრი ობოლაძეს აკრიტიკებს. ობოლაძემ მწერლის კრიტიკა პირდაპირ ეთერში რუსების მისამართით გაკეთებული განცხადებით დაიმსახურა, სადაც მან უკრაინაში მომხდარი ავიაკატასტროფის შემდეგ, რუსებს **“ღორები”**უწოდა.

“ქართული “ლეგიტიმური” რასიზმი!.. ახლა ამ ტიპს ვინმე თბილისელმა ეთნიკურად რუსმა კბილები რომ დაამტვრიოს, ღირსი არ იქნება?... უფლებადამცველები და ქართული ტოლერანტობის კარდინალები რომ ხმას არ ამოიღებენ, ეს ფაქტია, მათი 95% ასევე დარწმუნებულია, რომ ყველა რუსი ღორია... ისე კი თუ მენდობით, ევროპის ნებისმიერ არხს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა ეს ამბავი... ამ ობოლაძის კარიერაზე და იურიდიულ პასუხისმგებლობაზე არაფერს ვამბობ: (ჟურნალისტური ქარტია თუ რასიზმსა და შეურაცმყოფელ გამოთქმას შორის განსხვავებას ვერ ხედავს, მომმართონ და უფასო ლექციას ჩავუტარებ. ეს ქსენოფობიასაც კი ცდება. ეს იურისპრუდენციის სფეროა ჩვენს მიერ ასოცირებულ ევროპაში...).

ეს მარადული და ძალიან დიდი პრობლემაა მას შემდეგ, რაც ეს ერი არსებობს და პირველ რიგში ეს რუსების პრობლემაა. თუმცა ეს არ გვაძლევს ჩვენ უფლებას, მათ ან თუნდაც ნებისმიერ სხვას, ღორები ვუწოდოთ, თორემ რუსეთს კრიტიკა ისევე ნებადართულია, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისა და ერის... მხოლოდ კრიტიკას ტვინი და კულტურა სჭირდება, ბატონ ობოლაძეს კი სავარაუდოდ არც ერთი გააჩნია და არც მეორე.

აჰა გულით კარგი ბიჭი ყოფილა... (ქართველისთვის დამახასიათებელი:) მე, როგორც ჩანს, ქართველი არ ვარ, დიმა ობოლაძეა ნამდვილი ქართველი: (ისე ეს “ღორული” წარმოშობის სახელი მაინც შეიცვალოს.... უხერხულია...”), – დაწერა მწერალმა.

პაატა ქურდაძის პოსტს აქტიური გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის დიმიტრი ობოლაძის დამცველი კომენტარები. მწერალმა თემას მეორე პოსტი მიუძღვნა და ტელეკომპანია CNN-ზე მომხდარი ფაქტი გაიხსენა, როდესაც Twitter-ში პირად გვერდზე ებრაელების **“ნაბიჭვრებად”** მოხსენიების გამო, ჟურნალისტები სამუშაოდ ახლო აღმოსავლეთში გაგზავნეს.

“ეს მათთვის, ვისაც ჩემს გუშინდელ სტატუსში, იმის შესახებ რომ ობოლაძის კარიერას დასავლეთში წერტილი დაესმებოდა – ეჭვი შეეპარა. განსაკუთრებით მიაქციეთ ყურადღება, რომ ამერიკელმა კორესპოდენტმა მთელ ისრაელ ხალხს კი არ უწოდა “მერზავცები”, არამედ მათ, ვინც დაბომბვას უყურებდა და ხარობდა.. აი, დაახლოვებით როგორც ჩვენი 91-92 წლის მარაზმის დროს, რუსთაველზე, ოპერასთან ჩასაფრებული პუბლიკა თავისი აპლოდისმენტებით. თანაც CNN-ის კორესპოდენტმა ტვიტერზე გამოაქვეყნა და არა პირდაპირ ეთერში; Twitter: “Израильтяне на холме у Сдерота (город в Израиле) радуются, видя, как бомбы падают на Газу; угрожают “разбить нашу машину, если я скажу хоть слово неправильно”. Мерзавцы”, – წერს ქურდაძე...

კვალი ნათელი კაცისა!..

ფართო დემოკრატიამ, უწინარესად, ბეჭდვით მედიას – პრესას მოუტანა თავისუფლება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მას, როგორც ხალხთა მასების საუკეთესო ინფორმატორს, დღეს, ამ მხრივ, არაფერი აქვს სამდურავი და სასაყვედურო. მეტი რაღა გინდა, შენია ბურთიც და მოედანიც, შეგიძლია ბოლომდე საჯარო გახადო შენივე გულის ნადები, ოღონდ ნუ გადააჭარბებს უფლებებს, დაიცავი ზომიერება. ჟამთა ცვლამ, სიტუაციათა მონაცვლეობამ და განახლებამ, გაზეთიც გახადა უფრო მრავალსახოვანი, მაგრამ ძირითადი ფუნქცია უცვლელად დაუტოვა – კეთილსინდისიერად და პირწმინდად მოემსახუროს თავის მრავალრიცხოვან მკითხველს და მუდამ აკეთოს კეთილი საქმე. ყოველ გაზეთს, რომელიც თავისი შემოქმედებითი საქმიანობით მოწოდებულია განამტკიცოს ხელისუფლების კავშირი ფართო საზოგადოებასთან, თავისი მიზანი და ხელწერა გააჩნია, მაგრამ მათ შორის ყველაზე პოპულარულია ის, რომელიც ერთგულია ხალხის ინტერესებისა.

კომუნისტებმა საბჭოთა პრესას ახალი ფუნქციაც კი შესძინეს, როცა მას უწოდეს არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც და მართალიც იყვნენ. ცხადია, ორგანიზატორული ფუნქცია ბეჭდვით სიტყვას ანიჭებს მეტ ბრძოლისუნარიანობას, ქმედითობას, მაგრამ იგი დღეს, რატომღაც, სათანადო პატივისცემით არ სარგებლობს. ცნობილია, რომ ბოლშევიკურმა **„პრავდამ“** დიდი როლი შეასრულა რუსეთში არა მარტო შავრაზმული, ძირგამომპალი რეჟიმის ნგრევაში, არამედ დიდად შეუწყო ხელი ახალი უფრო პროგრესული საზოგადოების მშენებლობას. საქართველოს სინამდვილეში გაზეთმა **„ივერიამ“**, რომელიც დიდი ილიას იდეებით მოძღვრავდა ქართველ ხალხს, ახალი რევოლუციური გაქანება მიანიჭა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. დღევანდელ პირობებში კი ფასდაუდებელია გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** (მასთან ერთად ზოგიერთი სხვა გაზეთის) ღვაწლი, რის გამოც იგი აღიარებულია ქართული პრესის მებაირახტრედ.

ამასთან, არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ისეთი ვითარება, როცა პოლიტიკური პარტიებისა არ იყოს, ქვეყანაში იმდენი გაზეთი ფუნქციონირებს, რომ ვერ დაითვლი, რაც პრესის თავისუფლების გამოცხადების არასწორი გაგების შედეგია. თითქოს იგი გაზეთების რიცხვმრავლობაში გამოიხატებოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაბალი რეიტინგის გამო, ზოგიერთი მათგანი დიდხანს ვერ გაუძლებს გამოცდას, და დროთა განმავლობაში შეწყვეტს ფუნქციონირებას, ღირსეულები კი შეინარჩუნებენ არსებობას.

ერთ-ერთი მათგანია სრულიად საქართველოს გაზეთი **„რაეო“**, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერ ნაფუძვარზე შეიქმნა (იგი უშუალოდ მემკვიდრეა გაზეთ **„რაეოსი“**, რომელსაც წლების მანძილზე სათავეში ედგა ცნობილი ჟურნალისტი და საგაზეთო საქმის ჩინებული ორგანიზატორი ბ-ნი ბონდო გაგნიძე) და თავისი მეტად საინტერესო, ორიგინალური თემატიკით ქება-დიდებას იმსახურებს, რაზედაც ნათლად მეტყველებს მისი ყველა ნომერი. ვიდრე ამ გაზეთზე უფრო კონკრეტულად მოგახსენებდეთ ჩემს თვალსაზრისს, მინდა გაკვრით შევჩერდე ერთ მეტად არსებით მომენტზე, რაც მეტნაკლებად დამახასიათებელია ქართული გაზეთებისათვის. ჩვენი ქვეყნისა და ქართველი კაცის ცხოვრება ამ ორი ათეული წლის მანძილზე ისე ჭარბად გადაიტვირთა უჩვეულო, სენსაციური მოვლენებით და პარალელურად ბეჭდვითი სიტყვის ყურადღებაც ისე მიიპყრო ამ მოვლენებმა, რომ ერისათვის უმნიშვნელოვანესი მრავალი პრობლემა დავიწყებას მიეცა. ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა ადამიანთა საარსებო პირობები, მისი ხალხის სახელოვანი წარსული, ქართველი ერის დადებითი ეროვნული ტრადიციები, მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდა, კულტურის, მეცნიერების გადაუჭდებელი პრობლემები, ქართული სოფლის აღორძინების, ქვეყნის იდეოლოგიის, სამეურნეო პოტენციალის აღდგენის და ზოგიერთი სხვა საკითხი კანტი-კუნტად და არასრულყოფილად თუ გამოჩნდება გაზეთების ფურცლებზე. ამასთან ერთად, ყველაზე უფრო გულსატკენი და მიუტევებელი ის გახლავთ, რომ ამ პრობლემებს ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით ტელევიზია და სხვა საინფორმაციო საშუალებები, ანტიეროვნული, დეგრადირებულირ პოლიტიკური ძალების თვალთახედვით აშუქებენ, რაც, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოსათვის მეტად საზიანოა, სახელს უტეხავს საერთოდ მასმედიას.

განსხვავებით ყოველივე ამისაგან და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით **„სრულიად საქართველოს გაზეთი – „რაეო“** ასეთ სენსაციურ მოვლენებს გვერდს უვლის და განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავს ზემოაღნიშნულ პრობლემებს. ქვეყნის გმირული ისტორიიდან ხშირად აქვეყნებს ისეთ მასალებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მივიწყებულია. მკითხველთა ჯეროვან მოწონებას იმსახურებს პუბლიკაციები, რომლებიც საინტერესოდ მოგვითხრობენ ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ხალხს, მშობლიურ ქვეყანას. გაზეთის შეუცვლელი რუბრიკებია ქართულ-ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ოჯახური, ნათესაური, მეზობლური ურთიერთობანი. ასევე ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში, მხარეებში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი, ადათ-წესები, რომლებიც უშუალოდ ერწყმის ერთიანს, მთლიანს... **„რაეო“** სისტემატურად ეხმაურება და აშუქებს დღევანდელ უკიდეგანო მსოფლიოს ინფორმაციებს, რაც მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რამდენადაც ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე დღეს მრავლად ცხოვრობს ბევრი წარჩინებული ქართველი და ეწევა წარმატებულ მოღვაწეობას. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ ამ პუბლიკაციების ავტორები ფართო დიაპაზონის მქონე ქვეყანაში საკმაოდ ცნობილი ადამიანები არიან.

სწორედ ამით უნდა აიხსნას მკითხველის დაინტერესება გაზეთის პუბლიკაციებით. ნიშანდობლივია, რომ მკითხველი არა მხოლოდ შერჩევით, ცალკეული თემების მიხედვით ეცნობა მის ყოველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილებს, არამედ წაკითხვის გარეშე არ ტოვებს თითქმის არცერთ მათგანს. თემების აქტუალობა, პუბლიკაციათა მაღალი დონე და ქართული ენის სისადავე-სიწმინდე ამშვენებს მას. გულდასაყვეტია მხოლოდ, რომ მისი დედა გაზეთის დონეზე ვერ ახერხებს საგვარეულო მოძრაობის მრავალმხრივ საინტერესო პრობლემების გაშუქებას, მაგრამ ამას თავისი მიზეზიც გააჩნია – ვერც დღევანდელი ოფიციოზი – ხელისუფლება ვერ იჩენს ჯეროვან დაინტერესებას ამ საკითხებით. ერთადერთი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელიც ქართულ გვარებს დიდად წყალობს და ამით ხალხს არ უკარგავს ინტერესს, რომ იჩენდეს მეტ ყურადღებას გვარისადმი.

გაზეთის წარმატებაში საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს რედაქტორის მოადგილეს ბატონ რამინ ჭელიძეს, მთელი სარედაქციო საქმიანობის სული და გულია ქ-ნი მზია გომარელი, რომელმაც მკითხველებს თავი შეაყვარა მისთვის დამახასიათებელი პუნქტუალობითა და გულისხმიერებით, ასევე ქება-დიდებას იმსახურებენ ბეჭდვითი მედიის ვეტერანები მზია ერისთავი, მაია ჯაფარიძე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უნაკლოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მიუხედავად მიზერული, რაღაც უმნიშვნელო შრომითი ანაზღაურებისა, ნუ გაგიკვირდებათ ძვირფასო მკითხველო, თუ ასე ერთ მუჭად შეკრული მცირე ჯგუფი ენთუზიაზისტებისა ხალისით, დიდი გატაცებით ეწევა ქვეყნისათვის დღეს ამ მეტად საჭირო და სასარგებლო საქმიანობას, მით უმეტეს, რომ ისინი დაკავებული არიან სხვა გამოცემებითაც.

ღრმა პატივისცემას, საგანგებო აღნიშვნას და შეფასებას იმსახურებს გაზეთის გამომცემლობა, ბ-ნი ბონდოს მეუღლის და მისი უსაზღვროდ ერთგული მეგობრის, დამაშვრალი და უსათნოესი ქალბატონის ნანა გაგნიძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც სანიმუშო მაგალითია ძვირფასი თანამეცხედრისადმი თაყვანისცემისა. ნანა უზომოდ ბედნიერი იყო მაშინ, როცა იგი თავის საყვარელ მეუღლეს გვერდში ედგა და არა მარტო ტკბებოდა მისი წარმატებებით, არამედ თავისი წვლილიც შეჰქონდა მასში, მაგრამ, როცა მეტად მძიმე ოჯახური ტრაგედია დატრიალდა და ნანას საკუთარი თავის სადარი პიროვნება გამოეცალა ხელიდან, როცა ოჯახთან ერთად დაობლდა გაზეთი **„რაეოც“**, ამ შეუდარებლად მტკიცე ნებისყოფის, შეიძლება ითქვას, გმირი ქალის წინაშე დადგა არჩევანი იმისა, თუ მომავალი ცხოვრებისა და მოღვაწეობის რა გზას დადგომოდა. მწუხარებით გულდათუთქული ქალბატონი ერთი წუთითაც კი არ შეყოვნებულა, ისე განაცხადა: **“ჩემი ბონდოს მიერ ანთებული ჩირაღდანი არ უნდა ჩაქრეს, პირველ რიგში მე ვარ ვალდებული ეს გავაკეთო და თავი გადავდო მისი საქმისათვისო“.** ამ უჩვეულოდ მტკიცე და გულწრფელმა სიტყვებმა ფიცივით გაიჟღერა მაშინ და ცხადია, შესრულდა კიდევაც. ქალბატონი ნანა იმ მძიმე ტვირთის გაწევას დაუხმარებლად ვერ შეძლებდა, რასაც ბ-ნი ბონდო ვაჟკაცურად და შეუბღალავად ეწეოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მან გაზეთი **„რაეო“** შეინარჩუნა და აი, ნამდვილად არ ვიქნები მართალი, თუ ეხლა მაინც ორიოდე გულთბილ სიტყვას არ მივუძღვნი გაზეთის ამჟამინდელ რედაქტორს და მადლიერების გრძნობას არ გამოვხატავ მის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაურბის ქება-დიდებას. სწორედ მისმა მაღალმა პროფესიონალიზმმა და ყოველი ქართული გვარისათვის საყვარელი გაზეთის **„რაეოს“** მესაძირკვლის, ბონდო გაგნიძისადმი მეგობრობამ გადააწყვეტინა ბატონ გია პაპუაშვილს სათავეში ჩადგომოდა ამ გაზეთს. ნათქვამია, რედაქტორი გაზეთის სარკეაო და აი, უკვე 9 წელია, რაც მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს მასში ჩახედვა.

ვფიქრობ, ბატონი ბონდოს სახელისა და დიდების უკვდავსაყოფად, არც ერთი საგვარეულო და გვარიშვილობა არ დაიზარებს შეიძინოს ბონდო გაგნიძისეული **„რაეოს“** მემკვიდრე – ახალი **„რაეო“** (იგი თავისი პრესტიჟითაც იმსახურებს ამას) და გატაცებით იკითხოს მისი პუბლიკაციები. ძალიან, ძალიან დიდი ხნის შემდეგ კი, როცა ეს გაზეთი კვლავაც იარსებებს, მაგრამ მისი პატრონი აღარ იქნება ქალბატონი ნანა, სადღაც, ლამაზი ქართული შრიფტით უნდა გაუკეთდეს მას წარწერა **„ბონდო და ნანა გაგნიძეების გაზეთი“.**

ბრამიტონ კვარაცხელია,
ჟურნალისტი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი,
კვარაცხელიების საგვარეულო
კავშირის თავმჯდომარე

გაზეთ “ილორის” კომენტარი: დიდი მადლობა მსურს გადავუხადი ბატონ გრამიტონ კვარაცხელიას, რომელმაც ეს თბილი სტრიქონები მიუძღვნა ჩემს მეგობარს ბონდო გაგნიძეს. სულგანათლებული ბონდო მაშინ გავიცანი, როცა იგი კინოსტუდია “ქართული ფილმის” არქივს ხელმძღვანელობდა. მაშინ მე ვმუშაობდი მხატვრულ-პუბლიცისტურ ნარკვევზე “სიმაღლე”, რომელიც ასახავდა დიდი ქართველი კინორეჟისორის, მსოფლიო კინოს პატრიარქის რეზო ჩხეიძის შემოქმედებით გზას, რაშიც დიდი დახმარება გამიწია ბონდო გაგნიძემ და უნიკალური საარქივო მასალებით მომამარაგა. ამავე დროს, ბონდო გაგნიძე გახლდათ რედაქტორი ჩემი სცენარით შექმნილი მხატვრული ფილმისა “მჭედელი”, რომელიც გადაიღო ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა ბიძინა ჩხეიძემ.

ნათელში იყოს ჩემი მეგობრის ბონდო გაგნიძის სული!

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ “ილორის” მთავარი
რედაქტორი

ნორჩი პოეტების „პოეზიის საღამო“

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის თემში საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტის ფარგლებში, ინტეგრაციის პროგრამა – **„ახალგაზრდული იდეას“** ხობის წარმომადგენლობამ მოიყარა თავი. ახალგაზრდებმა **„პოეზიის საღამო“** თანამედროვე სტილში წარმართეს. ღონისძიება უმცროსი თაობის წარმომადგენლებმა გახსნეს, ნორჩმა პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და შეასრულეს თანამედროვე და კლასიკური სიმღერები.

პოეზიის საღამოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნინა ბუკია და წამყვანი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში ლევან ღვინჯილია ესწრებოდნენ. ღონისძიების დასასრულს ფარული კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო ლექსების ავტორი ანა ჯობავა დასაჩუქრდა. სტუმრებმა საკუთარი აზრი გამოთქვეს და ისაუბრეს იდეაზე, რომელიც უახლოეს დღეებში კიდევ ერთ საინტერესო და მასშტაბურ ღონისძიებად იქცევა და **„ახალგაზრდულ იდეას“** წარმატებები უსურვეს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა ზაზა ბუკიამ **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. პირველ ეტაპზე გასვლა მოეწყო ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის თემში ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოებზე, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო და ივლისის ბოლოსთვის დასრულდა. ბიისა და ხეთის თემებში ასევე ხორციელდება მოსაცდელების კეთილმოწყობითი სამუშაოები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე სამუშაოებს პირადად გაეცნობიან.

ამბები სამეგრელოდან

ივანე მაჩაბლის საღამო

ახლახან, სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო **„26 ივნისის საიდუმლო“.**

ღონისძიების დაწყებამდე კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მსახიობ ლერი ჯალაღონიას ხსოვნას.

ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია შინაარსობრივად გაშალეს კულტურის ცენტრთან არსებული მხატვრული წრის მოსწავლეებმა. გიმნაზიელი ვანო მაჩაბელი განასახიერა ბუდუ ჩაჩიბაიამ. მაჩაბლის პედაგოგ პეტრე უმიკაშვილის როლი ნიჭიერად შეასრულა საბა გუგუნავამ. ვანო მაჩაბლის უჭკნობი სიყვარულის – მაკო საფაროვასა და თავად მაჩაბლის როლები ოსტატურად მოირგეს: სალომე გოჩალეიშვილმა და იგორიკო ხარმანიამ. ლექსები მაჩაბელზე წაიკითხეს: ტატა სიჭინავამ და გიორგი ცისკაძემ. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა გააცოცხლეს: მეგი ცისკაძემ, ლილიკა გვარამიამ, ანი ყურაშვილმა, ბაჩანა პაჭკორიამ, თათა ლომიამ და გიორგი ხუნჯუამ.

ღონისძიების შესახებ აზრი გამოთქვეს: პოეტმა გული კირცხალიამ და ჟიული შარტავას სახელობის II საჯარო სკოლის ფილოლოგმა ნანა თავართქილაძემ .

საღამო მოამზადა და უძღვებოდა კულტურის ცენტრის უფროსი სპეციალისტი ლარისა გოგუა.

კატასტროფის რისკის შემცირება

ამას წინათ სენაკის მუნიციპალიტეტს ეწვივნენ ASB ჯგუფის კატასტროფის რისკის შემცირების პროექტის წარმომადგენლები. მათ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ თენგიზ ლომიასთან, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ ნატო ფულარიასთან და შესაბამისი სამსახურებისა და სტრუქტურის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს კატასტროფის რისკის შემცირების პროექტის განხორციელების აუცილებლობაზე, რომლის ფარგლებშიც, ამ ეტაპზე, დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის. ამასთან, ყველა საბავშვო ბაღს საჩუქრად გადაეცემა ცეცხლსაქრობი სტენდი. პროექტი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ამოქმედდება.

გოდებით მორჭმულნი

გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ფილიპე გოგიჩაიშვილი მეოცე საუკუნის დასაწყისში გულისტკივილით წერდა: **“უდიდესი ნაწილი ქართული პუბლიცისტიკისა დღეს მწარე გოდებასა და ქართველობის საერთო ნაკლთა დაუფარავ ღაღადისს შეიცავს... უანალიზო კრიტიკას ანუ გოდებისებულ “თავის მხილებას” კატეგორიული ხასიათი აქვს და მიზანს ვერ აღწევს,– პირიქით, საზოგადოებრივ ენერგიას ასუსტებს და შემოქმედებით ძალას ადუნებს”.**

ფილიპე გოგიჩაიშვილი ამგვარ კრიტიკოსებს **“განდიდების სენით”** დაავადებულებს უწოდებს, რომლებსაც **“ოდესღაც “საზოგადო საქმის” გულისათვის ორიოდე მუქთა სიტყვა დაუხარჯავს, სამშობლოს მხსნელათ მოაქვს თავი და ხშირად გულწრფელად სჯერა, რომ ხალხის ბედ-იღბალი მის პიროვნებასთან არის განუწყვეტლივ შეკავშირებული”.**

ქართველთა უყაირათობა, მფლანგველობა, გულარხეინობა, ბევრი ღვინის სმა... აი, რა ნაკლოვანებებზე გოდებდა მაშინდელი ქართული პუბლიკაციის უდიდესი ნაწილი.

ჩვენ თუ შევადარებთ მეოცე საუკუნის დასაწყისის **“განდიდების სენით”** დაავადებულთ და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის **“საზოგადო საქმისათვის”** თავგადაკლულ პუბლიკაციების ავტორთ, აუცილებლად თვალში მოგვხვდება წინამორბედთა სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიღარიბე, ქართველი ერის ხასიათის, მისი ეთნოფსიქოლოგიის ზერელე ცოდნა.

არც ერთი მათგანი არ გოდებდა ქართველი ერის გეოპოლიტიკურ სიბრმავეზე, პროვინციალურ ფაშიზმზე, გამოთაყვანებაზე, უმადურობაზე, ჰომოსექსუალისტობაზე... და რაც მთავარი, ქართველი ერის მონურ ცნობიერებაზე!

თანამედროვე ფილოსოფოს-ფსიქოლოგ-სოციოლოგებმა, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებმა თუ რიგითმა წევრებმა, პოლიტოლოგებმა, ექსპერტებმა თუ დამწყებმა დიდების მაძიებლებმა, სამშობლოს მხსნელებად რომ მოაქვთ თავი, შეძლეს დაეძლიათ წინამორბედთა გონებრივი სიმწირე და ფსიქოანალიტიკური მეთოდით ძალმოსილებმა სწორი დიაგნოზი დასვეს, მტერსა და მოყვარეს ქართველი ერის ნამდვილი სახე უჩვენეს!

ნუ ვიქნებით უმადურები, მივაგოთ სათანადო პატივი და კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ ამ დედის ძუძუნაწყენთა **“მეცნიერულად დასაბუთებული”** დიაგნოზები.

გოდებანი

აწ განსვენებული ფილოსოფოსი მ. მამარდაშვილი აღშფოთებულია ქართველთა ცუდი თვისებებით: **ყალბად გაგებული პატრიოტიზმით!**

როგორც თავად ბრძანებს, ეს ცუდი თვისება აშკარად გამოვლინდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება მარქსისტული ფილოსოფიის ადეპტი იყო და პურს მარქსისტული ფილოსოფიის აგიტაცია-პროპაგანდით ჭამდა, უცებ გარდაიქმნა და ქვეყანას ამცნო: **“საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სუფთა სახით”!**

ასე შეაფასა პუტჩისტების კუმირმა ფილოსოფოსმა საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამარჯვება და დამოუკიდებლობის აღდგენა.

წვერებცანცარა გ. ნოდია ამტკიცებს, რომ ქართული ხასიათის მთავარი თვისებაა დაუნდობლობა და სისასტიკე. ქართველები თურმე ფაშისტებივით ვექცევით საწყალ სომხებს, ოსებს, აფხაზებს, აზერბაიჯანელებს... ვდევნით და მათთვის სპეციალურად აგებულ ლაგერებში ვამწყვდევთ!

ფსიქოლოგი ნ. სარჯველაძე ამტკიცებს, რომ ეროვნული მოძრაობა გამსჭვალულია ნეკროფილური ხასიათით, რადგან იგი ეფუძვნებოდა ნეგატიური თავისუფლების პრინციპს. ეროვნული მოძრაობა ანტიინტელექტუალური მოძრაობაა, რადგან ის იწვევს მასობრივ ისტერიებს...

თუკი ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, მასობრივი ისტერიის კერძო შემთხვევა ყოფილა.

ეჰ, კოლეგავ, ვერა ხარ ჯანზე!

ფსიქოლოგი გ. ნიჟარაძე ლაპარაკობს ქართველი ერის ინფანტილიზმზე, რომელიც ცუდი აღზრდითაა გამოწვეული. ცუდი აღზრდა კი გამოწვეულია ქართველი დედის შვილისადმი სიყვარულით, ზრუნვით, ყურადღებით... ჭკუისკოლოფა გ. ნიჟარაძემ ქართველ ქალს მძიმე განაჩენი გამოუტანა. ქართველი ქალის ტრაგედია, მისი სექსუალური თავდაჭერილობა და პატიოსნება ყოფილა.

სოციოლოგი ბ. ჩეკურიშვილი გოდებს იმის შესახებ, რომ ქართველი ქალი ყველაზე უმწეო და ჩამორჩენილი არსებაა.

ბ. ჩეკურიშვილს მხარს უბამს ბ. შარვაშიძე, რომელიც წერს, რომ ქართველი ქალის კარჩაკეტილობა, შეზღუდულობა გამოწვეულია ქართული საზოგადოების განუვითარებლობით.

ე. ჯგერენაია თავის ნაშრომებში ასაბუთებს იმას, რომ ქართველი მამაკაცები ჰომოსექსუალები არიან, რაც ქართულ სუფრაზე ვლინდება. **“მამაკაცთაშორისი სიყვარული, სიტყვები, რომლებითაც მამაკაცები სუფრის მსვლელობისას მიმართავენ ერთმანეთს, (“ჩავეხუტოთ ერთმანეთს”, “მოვესიყვარულოთ”, “ძალიან მომენატრა შენთან ჯდომა”, “მიყვარხარ” და ა.შ.) ღრმა ეროტიზმისა და ურთიერთნდომის შემცველია. რასაკვირველია, ეს ეროტიზმი და ურთიერთსექსუალური ლტოლვა არ არის გაცნობიერებული როგორც წმინდა სექსუალური ლტოლვა, არამედ როგორც “ძმაკაცობა” და “გულის გადაშლა”. შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგიჰეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი – არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა”.**

ამ უბედურობებთან ერთად, ქართველობას ისტორიულად მონური ცნობიერება, მონური სული მოსდგამს. ამის შესახებ არც ერთმა მგოდებელმა. არც ძველმა და არც ახალმა არ იცოდა. ეს აღმოჩენა ეკუთვნის ერთი სახელგატეხილი პარტიის ლიდერთაგანს დ. ზურაბიშვილს. ღრმა განსწავლულობამ და მშობლიური ერის დიდმა სიყვარულმა ასე აგოდება: **“თანამედროვე ქართველი კვლავ ფეოდალისტური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაც ქართველი ერის ფეოდალისტური ფსიქიკის ფესვებიდანაა ამოზრდილი, რომელიც თავისი არსით ფუნდამენტალისტური ცნობიერებაა, ხოლო დღეისათვის ყოველგვარი ფუნდამენტალიზმი გამარტივებული სქემატური აზროვნების სათავეა. ასეთი ფუნდამენტალიზმი განსაზღვრავს ეროვნული მოძრაობის სახესაც”.**

დ. ზურაბიშვილის განმარტებით ეროვნული მოძრაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ რადგან **“ფეოდალისტური ცნობიერებიდან”** გამომდინარეობს, მაშასადამე არის **“მონური ცნობიერება”** და **“აკლია შინაგანი ზნეობრივი დვრიტა”.**

ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, არსებობს ხსნის გზა და ეს გზა დ. ზურაბიშვილმა გვიჩვენა: **“სანამ ჩვენ, ქართველები, არ დავამსხვრევთ დრომოჭმული ფსიქიკის ბორკილებს, თვითეული ჩვენთაგანის გულში იცოცხლებს ჩვენი მონური სულისკვეთების ჯოჯოხეთური ხატი”.**

ძალზე ბეჯითად კი ასრულებენ **“საზოგადო საქმისათვის”** თავგადადებული მგოდებლები მამა-მარჩენალ სოროსის ერთ-ერთ შთაგონებას: **“ილაპარაკეთ და იმოქმედეთ... მტკიცედ, აგრესიულად, თავგზის ამბნევად, თავზარდამცემად. ატეხეთ ხმაური და გამოიყენეთ ლამაზ-ლამაზი სიტყვები. იხმარეთ, რაც შეიძლება უფრო გაუგებარი და ვითომ მეცნიერული ტერმინები, მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვით, მთავარია როგორ იტყვით”.**

მგონი ეს კაცი განათლების მინისტრის მოადგილეც კი იყო!

ღმერთო, რატომ გვსჯი ასე სასტიკად?

დ. ზურაბიშვილი მარტო არ არის. მის გოდებას არ ჩამორჩება გ. მარგველაშვილის გოდება: **“ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობას ახასიათებს გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმა... ის მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას”.**

რა მიზნები ამოძრავებთ, რა სურთ ჩვენს მგოდებელ ფილოსოფოს-ფსიქოლოგ-სოციოლოგ-პოლიტიკოსებს?

ამ კითხვებს ამომწურავად ბატონი ელიზბარ ჯაველიძე პასუხობს: **“მათი ქვებუდანობის მთავარი მიზნები ასეთია:**

პირველი – ეროვნული, ქართული ხასიათის უარყოფითი შტრიხებით წარმოჩენა, ქართული ეროვნული ფენომენის დაკნინება, რასაც, ცხადია, ეს ცოდვით დამძიმებულნი კეთილი განზრახვით არ იქმნიან.

მეორე – ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, ეროვნული მოძრაობის იდეის გაბიაბრუება.

მესამე – დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს თავისთავად, დამოუკიდებლად არსებობის შეუძლებლობის დამტკიცება.

მეოთხე – ქართველი ერის თვითობის შენარჩუნების სურვილის გმობა, მისი სულიერების, რწმენის, კულტურისა და ტრადიციების უდიერად დახატვა და უარყოფით, შემაფერხებელ ბალასტად წარმოსახვა.

მეხუთე – ქართულ ცნობიერებაში მტკიცედ დამკვიდრებული ქალის, ქართველი დედის კულტის ამოძირკვა.

მეექვსე – უცხო ტერმინებით გაჯერებული ფსევდო ფსიქოანალიტიკური მსჯელობით საზოგადოების ტვინის გამორეცხვა.

მეშვიდე – ქართველთ ეროვნული ღირსების, თავმოყვარეობის ჩაკვლა და სამშობლოსა და ეროვნული გრძნობებისადმი სრული ინდიფერენტიზმის დამკვიდრება”.

ყოველივე ქართულს ხომ ებრძვიან, უკვე ბიბლიასაც გადაწვდნენ და სისულელედ ქადაგებენ!

ამას წინათ ერთ ჟურნალში წავიკითხე კოლექტიური წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პოლიტოლოგები, ერთიანი კომპარტიის წევრები.

წერილის ავტორები გონებრივად ჩამორჩენილ, გამოთაყვანებულ, გამოყეყეჩებულ, სოციალურ აზროვნებას მოკლებულ ქართველ ერს რომელსაც მონური ცნობიერებაცა აქვთ, საყვედურობენ იმას, თუ რატომ ვერ გაურკვევია რომელ გეოგრაფიულ სივრცეშია საქართველო, ვერ გაურკვევია ის, რომ რუსეთთან 700-კილომეტრიანი საერთო საზღვარი გვაქვს და რომ რუსეთი ორი საუკუნეა ამ რეგიონში გეოპოლიტიკურ ფაქტორებს ფლობს, ვერ გაურკვევია ის, რომ რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი უარყოფითად არიან განწყობილნი **ნატო**-ს სამხედრო ორგანიზაციისადმი, რომ ქართველი ხალხი უმადურობას ავლენს და რუსეთს ცივ ომს უცხადებს...

ეს წერილი, რომლის სათაურია **“ქართველთა გეოპოლიტიკური სიბრმავე და თვითგვემა-თვითმკვლელობის 25 წელი”** დაწერილია მამულიშვილთა მიერ სამშობლოს დიდი სიყვარულით. ჩემთვის მიუღებელი ზოგიერთი თვალსაზრისის მიუხედავად გაკეთებულია სწორი დასკვნა: ***საჭიროა აღდგეს კეთილმეზობლური ურთიერთობა დიდ მეზობელ რუსეთთან და ფინეთის რესპუბლიკის მსგავსად საქართველო უნდა გადავიდეს სამხედრო ნეიტრალიტეტის ნიადაგზე!***

წერილი იწყება ცნობილი პუბლიცისტის ვალერი კვარაცხელიას სიტყვებით: **“რამ დაგაბრმავა, რამ დაგაყრუა, რამ გამოგათაყვანა ქართველო ერო?”**

ქართველი ერი არც დაბრმავებულა, არც დაყრუებულა, არც გამოთაყვანებულა!

ეროვნული ხელისუფლება შევარდნაძის ბანდამ დაამხო და მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია. ამ მოვლენებს ქართველი ხალხის საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით.

საპროტესტო მიტინგები დაუნდობლად იხვრიტებოდა!

ხალხის ამ პროტესტს ზოგი აფასებს როგორც აგრესიას, მასობრივ ისტერიებს, მონურ ცნობიერებას...

ხალხის ამ განწყობით ისარგებლეს და და ხელისუფლებაში **“ნაცები”** მოვიდნენ.

“ნაცების” პარპაშის დროს ასიათასობით ადამიანი ქუჩაში გავიდა ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილონი. ამ პროტესტს დაუპირისპირეს სასტიკი დარბევები, ფსიქოტრონული იარაღი, მკვლელობები, მასობრივი დაპატიმრებები...

ამ პროტესტს ზოგი აფასებს როგორც ბრბოს აგრესიას...

ხალხის ამგვარი განწყობით ისარგებლა **“ოცნებამ”** და ხელისუფლებაში მოვიდა.

კოჰაბიტაცია და დანაპირების შეუსრულებლობა ჯერჯერობით უკმაყოფილების განცდას იწვევს... ელოდება... არ სურს სისხლის ღვრა, სამოქალაქო დაპირისპირება... იარაღის გამოყენებით ხელისუფლების დამხობა...

ხალხის ამ ბრძნულ მოთმინებას ზოგი ერის გამოშტერება-გამოთაყვანებას უწოდებს!

როგორც ვხედავთ, ხალხს არავინ არაფერს ეკითხება.

მხოლოდ ზვიად გამსახურდია შეეკითხა ხალხს სურდა თუ არა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა და რეფერენდუმი ჩაატარა.

დღევანდელი მგოდებლები ხელისუფლებისაგან რეფერენდუმის ჩატარებას არ მოითხოვენ. **ნატო**-ში გაწევრიანება-არგაწევრიანებას რეფერენდუმის ჩატარება სჭირდება. აი, მაშინ გამოჩნდება ქართველი ერი დაბრმავდა, დაყრუდა თუ გამოთაყვანდა!

ზემოთ ნახსენები წერილის ავტორებს მოაქვთ ფინეთის მაგალითი, რომელმაც საბჭოთა კავშირთან ნორმლური ურთიერთობა აღადგინა. **“ეს მოახერხა მხცოვანმა პოლიტიკოსმა, რომლის ქვეყანა სულ ახლო წარსულში 1939-1940 და 1941-1945 წლებში, ორგზის იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ”** – აღნიშნავენ წერილის ავტორები.

არსად წამოკითხავს და არც არავისგან მსმენია ფინელ პოლიტიკოსებს, პუბლიცისტებს, ისტორიკოსებს თუ პოლიტიკოსებს ფინელი ერი დაედანაშაულებინოთ რუსეთთან ომში, ეძახათ მისთვის ყეყეჩი, ბრმა, გამოთაყვანებული, მოეთხოვათ მისგან რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება.

ეს შეძლო ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ იუჰო პაასიკივიმ და წერილის ავტორებს იმედი აქვთ საქართველოშიც გამოჩნდება მსგავსი ქართველი პაასიკივი.

სხვადასხვა პროფესიის, სხვადასხვა ასაკის ადამიანები სხვადასხვა დროს ქართველ ერს უმადურობას აბრალებენ. როგორ გაბედა ქართველმა ერმა დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი! როგორ გაბედა და დამოუკიდებლობა აღადგინა! აი, მათი პათოსი!

გოდებენ, თურქეთის წინააღმდეგ ომში რუსი ჯარისკაცების დაღვრილმა სისხლმა დაგვიბრუნა თურქებისგან მიტაცებული მიწები და ქართველები უმადურები ვართ ეს რომ არ გვახსოვსო!

თავად ავიწყდებათ, ან არ უწყიან ის, რომ რუსეთის იმპერია თურქეთს არა მხოლოდ საქართველოს ინტერესებისათვის, არამედ თავისი განაპირა გუბერნიის გასაფართოვებლად, და ისტორიული მტრის დასასუსტებლად ეომებოდა.

ქართველი ერი უმადური არ არის. ქართველობამ დიდი მსხვერპლი გაიღო, ბევრი სისხლი დაღვარა რუსეთის თითქმის ყველა ომში, პეტრე პირველიდან დაწყებული, ავღანეთის ომის ჩათვლით!

ქართველ გენერლებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს დიდი ღვაწლი მიუძღვით რუსეთის სამხედრო შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და განმტკიცებაში.

დიდი ილია დადებითად აფასებდა საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში შესვლას, – აღნიშნავენ წერილის ავტორები და მიუთითებენ ილიას წერილზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლის 100 წლისთავს. მაგრამ ილია ერის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშე იყო.

ვინმე მფარველობასა და დახმარებას რომ გაგიწევს, ცხადია მისი მადლობელი და ერთგული უნდა იყო, მაგრამ მონად არ უნდა გადაიქცე, თავი დირსეულად უნდა გეჭიროს. ასეთ შემთხვევაში დაგაფასებენ, თანასწორად ჩაგთვლიან, მაგრამ თუ ნებაყოფლობით მონის როლს აირჩევ, შენი ყოფილი მფარველი და კეთილისმყოფელი შეგიზიზღებს, როგორც მონას ისე მოგექცევა.

ილიას და ზვიადის გზა ეს არის საქართველოს ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზა!

ეს გზა არის ზემოთნახსენები წერილის ავტორთა მოწონებული გზა – ერთმორწმუნე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობისა და სამხედრო ნეიტრალიტეტის გზა!

ამ გზას მიუყვებოდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მაგრამ იგი ილიასავით მოკლეს. მოკლა ერის მოღალატეებმა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს დაქცევა-განადგურების, ერის ზნეობრივი დეგრადაციის, ქართული ცნობიერებისა და კულტურის გადაგვარების გზას!

ეს მოღალატენი დღესაც მორჭმით ცხოვრობენ და **“სჯერათ, რომ ხალხის ბედიღბალი მის პიროვნებასთან არის განუწყვეტლივ შეკავშირებული”.**

P.S. *ადგილის ეკონომიის მიზნით ამონარიდებისა და ციტატების წყარო მითითებული არ მაქვს. თუ რომელიმე მგოდებელი გააპროტესტებს – მსგავსი რამ არ მითქვამსო, მაშინ, შევახსენებ როდის და სად დაბეჭდა, გვერდების მითითებით.*

თენგიზ კუბლაშვილი

პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

ისტორიკოსი – ეს ბადებს აღსანიშნაღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის ილუზიას, მაშინ როცა **"... იმ ზომით, რა ზომითაც ნაწარმოები ენები სცილდებოდნენ ფუძისეულ ენას, მათი სიტყვაწარმოება კი ნაკლებად ბუნებრივ ბგერათა წაბაძულობას და სულ მეტად სიმბოლური ხდებოდა..."** ლაიბნიცი.

ავტორი – აი, როგორ უწინასწარმეტყველებია გენიალურ გერმანელ მეცნიერს ის, რაც სინამდვილეში მოხდა: ჯერ იყო და წ და ყ ბგერათა პირობით-რეფლექსურ ბუნებას დაემატა – აღმნიშვნელობითი: მათ სიმბოლურობა შეიძინეს: გაგონება (დანახვა, უნებლიე წარმოთქმა) წ... და ყ... ბგერათა, იწვევს გაგებას იმისა, რომ ხმა საიდანაც მოდის, იქ მიმდინარეობს წოვის (სმის, კვების) პროცესი. ვითარდება თავის ტვინი და ენა, შესაძლებელი ხდება ენისათვის უჩვეულო მოძრაობებით სხვა კვებითი თუ ემოციური ხასიათის პირობით რეფლექსთა ამდძვრელ ბ. და ბკ-ის წარმოთქმა, როგორიცაა: შ, ჩხ, გრ და ა. შ. ამის შემდეგ ასპარეზზე გამოდიან რეფლექსოგენურობის თვალსაზრისით ინდიფერენტული ბ. და ბკ-ები.

ზემოთჩამოთვლილნი, სუფველანი არიან აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლონი. იწყება აფიქსაცია: აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო ხდება ნაკლებად ბუნებრივი და მეტად სიმბოლური. ეს პროცესი აფიქსაციით წარმოქმნილი ალომორფული პოლისემიის პერიოდია.

აფიქსთა და ფონეტიკურ დანართთა ძირს შეზრდის და შემდგომ ეტაპზე განმეორებითი აფიქსაციის გამო, სიმბოლურობაში ბუნებრიობა ძნელი შესამჩნევია.

მაგ. 1) ენათმეცნიერებიდან, საეჭვოა, ვინმე თუ იტყვის, რომ წყურ-ვი-ლი ბუნებრივი სიმბოლოა. მაგრამ დასაბამიდან, წ= წყალი; ყ=ყლაპვა; ჯამში: წ + ყ + წყ უდრის "წყალი", "წოვა", "სმა", "წყურვილი" და ა. შ. მეგრ. წყუ დღესაც უდრის "წყაროს" ანუ "იგი დღესაც ბუნებრივი სიმბოლოა". მეგრულში პარალელურად გვაქვს სუფიქსირებული ფორმა (წყ + რ), იგივე წყაროს მნიშვნელობით > წყურ-ი, რომლის ბუნებრივი სიმბოლურობა შემცირებულია. ქართულში **ვილ** სუფიქსაციით მიღებულია წყურ+ვილ-ი, რომლის სიმბოლურობა წყუ და წყურთან შედარებით მაღალია ბუნებრიობა კი დაბალი. წყურვილ-ის შესატყვისი მეგრული უმ-ენ-ი იმდენადაა ცვლილი (წყ> ; რ>მ), რომ ბუნებრიობა თითქოს საერთოდ არ ჩანს.

მაგ. 2) დასაბამიდან, აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო შ დღესაც უცვლელადაა შენარჩუნებული მეგრულ სიტყვაში – შს "წყალი." – რ სუფიქსაციამ, რომელიც (კანონზომიერად) მ-თი შეიცვალა, მოგვცა მეგრული "შუმ-ა">ქართ. "სმა". ამ სიტყვებიდან მეგრულში ბუნებრივი სიმბოლურობა ნაკლულია, მაგრამ შეიმჩნევა, ქართულში კი არა;

მაგ. 3) სახელსადებ ფაქტთა სიუხვის გამო, თავდაპირველი ბ, ბკ-ები და მათგან რ სუფიქსაციით წარმოქმნილი ალომორფები პოლისემიურნი არიან: შ არა მარტო წყალს, სმას, არამედ კვებასაც და ა.შ. აღნიშნავს. რ სუფიქსაციით მიღებულია შირ ალომორფი, იგივე პოლისემიით. ამ უკანასკნელის დუბლირება ქართულში გვაძლევს –შიმ-შილ-ს (შირ- შირ>შიმ//შილ) და მეგრულში შქირ-ენი-ს. შ: შქ ქართულ-მეგრული ბგერათა შესატყვისობაა, ამიტომ, უდაოა: შქირ მიღებულია შირ ალომორფისაგან, რომელსაც ენ სუფიქსაციამ და შ > შქ პროცესმა სახე ისე უცვალა, რომ ბუნებრივი სიმბოლურობა აღმოსაჩენი გახადა.

ისტორიკოსი – ასეთი ბევრი მაგ. ავტორს აქვს დასახელებული სისტემებად. "ობიექტური" თუ "აკადემიური" კრიტიკა "დიახაც" მისასალმებელია, მაგრამ უპრიანი ხომ არ იქნებოდა ნაშრომის შეფასებაში მაღალი "მეცნიერული ობიექტურობითა" და "აკადემიურობით" მორჭმულ ენათმეცნიერთ წაეკაპიწებინათ ხელი და შეშველებოდნენ ავტორს გამოეგლიჯათ ქართველური (და არა მარტო ქართველური) სახელი და ზმნა იმ კლანჭებიდან, რომელსაც ნიშნის უმოტივაციობა, ნებისმიერობა თუ პირობითობა ჰქვია.

ფსიქოლოგი – "... უნდა ითქვას, რომ პიქტორალური ეფექტი ხშირად მიიღება სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის ან მოვლენის მიერ გამოცემული ბგერების წარმომამადგენლობით: ბრახუნი, ბზრიალი, ბზუილი, გრიალი, გრუხუნი, ზრიალი... და სხვა. ასეთი კატეგორიის სიტყვები მყისთანადი მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენებიან.

პიქტორალური ეფექტის მისაღებად გავრცელებული ფორმაა სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის მიერ გამოცემული ბგერების რედუბლიკაცია: ბუტ-ბუტი, ბუჟ-ბუჟი, ბუხ-ბუხი, გუგუნი, გუგული, გუზგუზი, გურგური, გრიალ-გრიალი, დაგა-დუგი, და ა. შ. ასეთი კატეგორიის სიტყვები უმთავრესად დროში გავრცობილ ერთგვაროვან, სტერეოტიპულ მოქმედებებს გამოხატავენ.

სიტყვის ფუძეში მარცვალთა სტერეოტიპული განმეორებითაა მიღწეული, აგრეთვე პიქტირალური ეფექტი ისეთი მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებში, რომელნიც დროში გავრცობილი სტერეოტიპულობით ხასიათდებიან, მაგრამ რომელთა მიმდინარეობა უპირატესად ბგერების გამოცემასთან არის დაკავშირებული: ბა-ბანი, ბაჯ-ბაჯი, ბი-ბინი, ბილ-ბილი, ბუჟ-ბუჟი, გლიჯინ-გლიჯინი, ვარ-ვარი, თახ-თახი, თიმ-თიმი, კამ-კამი, კაშ-კაში, ლას-ლასი, ლაკ-ლაკი, ლაპ-ლაპი, ლაღ-ლაღი, რაკ-რაკი, ტუს-ტუსი, ტიკ-ტიკი, ფარ-ფარი, ფუს-ფუსი, ფარ-ფაში, ქათ-ქათი, ქვით-ქვითი, ქოთ-ქოთი, და-დადი, დად-დადი, დაჟ-დაჟი, ჩი-ჩინი, ჩახ-ჩახი, ჩაქ-ჩაქი, ჩუ-ჩუნი, ცახ-ცახი, ცე-ცება, ციმ-ციმი, ძიგ-ძიგი, ჭი-ჭინი, ხამ-ხამი, ჯაგ-ჯაგი, ჭი-ჭინი და სხვ.

ბგერების განმეორებისას ხშირად იცვლება ერთი ან ორი ხმოვანი: ბრაგა-ბრუგი, ბრახა-ბრუხი, დაგა-დუგი, ზან-ზარი, ზრიალ-გრიალი, კნაწა-კნუწი, კრაჭა-კრუჭი, ლაწა-ლუწი, პრაწა-პრუწი, რაკა-რუკი, რახა-რუხი, ტკაცა-ტკუცი, ტყაპა-ტყუპი, ტყლაშა-ტყლუში, ფხაჭა-ფხუჭი, ფხაწა-ფხუწი, შხაპა-შხუპი ... და ა. შ.

ასეთივე გზითაა მიღებული მოვლენათა აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებისთვისაც ბგერების გამოცემა არაა დამახასიათებელი, მაგრამ უმთავრესად არაერთგვაროვანი სტერეოტიპული ხასიათისანი არიან: ბარ-ბაცი, გაწა-მაწია, გაწინ-წილობა, განგაში, გრაგნა, ...კანკალი, პარპალი, რიჟრაჟი, და ა.შ.

სიტყვის ფუძეში თანხმოვნის გამეორების გზით მიიღება პიქტორალური ეფექტი, აგრეთვე სტერეოტიპულ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებში, რომელთა მიმდინარეობაც ბგერების გამოცემასთან არაა დაკავშირებული: ბობღვა, გახიახება, გალალვა, გოგმანი, გაქიაქება, ოროოლა...

როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ონომატოპეურ სიტყვებად მხოლოდ ისეთი სიტყვების მიჩნევა, რომელთა ფუძეში იგრძნობა, ამ სიტყვებით აღნიშნული მოვლენების მიერ გამოცემული ბგერების მსგავსება არ არის მართებული.

ბიულერი მიუთითებს, სიტყვები: "სცჭლოფფერნ" "კანკალი", ფლიმმერნ "ციმციმი, კრილლეტნ ფუს-ფუსი და სხვა საკმაოდ ზუსტად ასრულებენ თავსი ობიექტის მიტაციას, მაგრამ შორს არიან იმისგან, რომ აკუსტიკურად დახატონ აკუსტიკური ფაქტი... ბაინდურაშვილი "სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია" გვ. 132.

ისტორიკოსი – დიდებული მაგალითებია. მათი დიდმნიშვნელობა სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის ან მოვლენის მიერ გამოცემული ბგერების არსებობის შემჩნევა-დაფიქსირებაში და ნიშნის მოტივირულობის საბუთად გამოყენებაშია.

ავტორი – "გ. თ."-იას სიახლე კი შემდეგია:

1) ეს ბგერები სიტყვათა ძირადაა მიჩნეული;

2) ამგვარი ფაქტები გამოძახილს პოულობენ არა მხოლოდ აქვე აღწერილ სიტყვების მსგავს კატეგორიებში, არამედ მათ აქვთ უნივერსალური, ტოტალური ხასიათი: მოიცავს სახელს, ზმნას და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფიქსებსაც. მაგ: რ ხმაბაძვითი ბგერიდანაა უხშირესი სუფიქსი რი, ამ უკანასკნელიდან კი მიღებულია ნ, მ და ლ თანხმოვნიანი აფიქსები(იხ ტეკსტი); შსხმაბ. ბგერა ქმნის წყლის სახელდებას — შს „წყალი." წყალში მყარი სხეულები იძირებიან, რაც იწვევს შიდა სივრცის, წიაღის წარმოსახვის შესაძლებლობას. შედეგად შ ბგერა ხდება ამ მნიშვნელობათა გამომხატველი აფიქსი: შიგ, შიდა, სახლში, ტყეში და ა. შ.

3) პიქტორალური ეფექტის მქონე, დროში სტერეოტიპულად მიმდინარე (ბაბანი, ბაჯბაჯი და ა. შ.) თუ მოქმედების (ბობღვა, გოგმანი, და ა. შ.) არახმაბაძვითნი, ზემოთ დასახელებულ ხმაბაძვითთა (ზრიალი, ბზრიალი და ა. შ.) და მრავალრიცხოვან მათ მსგავსთა (კაკანი, გუგუნი, ღიღინი და ა. შ) ზეგავლენით და ანალოგიით არიან წარმოქმნილნი.

მათ პირველქმნადობას საერთო პრინციპი აერთიანებთ: ესაა – გამოხატვით აღნიშნონ აღსანიშნი. განასხვავებთ კი მხოლოდ გამოხატვის ხარისხი: ხმაბაძვითებში გამომხატველობა მაღალია, სიმბოლურობა – დაბალი. არახმაბაძვითებში კი პირიქით: სიმბოლურობაა მაღალი, გამომხატველობა – დაბალი. კ. დანელია მათ ორ ჯგუფად: ხმაბაძვითებად და ხმაბაძვის ელფერის მქონეებად განასხვავებს;

4) პირველი მეტყველება (წ და ყ დემიურგთა შემდეგ) ხმაბაძვითი ძირებით ხორციელდებოდა: მ-ის ჩასახვა წ და ყ-ს დამსახურებაა. შემდეგი სიტყვაქმნადობა ჩასახულის განვითარებას ემსახურება.

5) ხმაბაძვითი ელფერის ლექსიკა შედარებით გვიანდელია.

გარდა ამისა, ღირსაცნობია შემდეგი: ზემოთხსენებული ხმაბაძვითი ბუნებრივი სიმბოლიზაცია და ხმაბაძვითი ელფერის სიმბოლიზაცია შეიცვალა კიდევ ისეთით, როცა საწყისი მასალისა და სახელსადებ მოვლენათა რამენაირი დაკავშირება შეუძლებელი გახდა. ადეკვატური აკუსტიკური ფაქტები უკვე სახელდებულია. თუმცა პირველქმნადობა გრძელდება სხვა მნიშვნელობითი კავშირებით ახალწარმოქმნილ თუ ნაცვალ ბგერებთან. მაგ.: ყ, ხმაბაძვის პერიოდში ყ... ყ... ხმიანობის-მოვლენებს განასახიერებდა. შემდეგ რ ხმაბაძვითთან აფიქსაციამ მოგვცა ყურ-ყურ-ი – "წყლის თუ ნაწლავების ხმაური". აქედან არსებითი სახელი – ყურ-ი (ვინ იფიქრებდა) შემდგომი გადააზრიანებითაა წარმოქმნილი: ყური ხომ ხმიანობათა აღქმას ემსახურება. ყურის მნიშვნელობის უფრო ღრმა აბსტრაქციაა ქართ. მეგრ. ურუ და უნ-გა, ასევე მეგრ. ურ-უ **"გამოუცდელი, უვიცი".**

ედემ იზორია

ზუგდიდში ვლაქერნას ღვთისმშობლის კვართის დადების დღესასწაული აღინიშნა



საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვლაქერნას ღვთისმშობლის კვართის დადების ყოველწლიური დღესასწაული აღნიშნა. ამ დღესასწაულს განსაკუთრებული ზეიმით ზუგდიდში, დადიანების სასახლესთან მდებარე ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში აღნიშნავენ ხოლმე, რომელიც კონსტანტინეპოლის ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძრის სახელზეა აშენებული.

რელიგიური ტრადიციის თანახმად წირვაზე დადიანების სასახლის მუზეუმიდან ღვთისმშობლის კვართს და რამდენიმე წმინდანის წმიდა ნაწილს გამოაბრძანებენ ხოლმე და მომლოცველებს სიწმინდეებთან მიახლების შესაძლებლობა ეძლევათ. სიწმინდეებს მსვლელობით ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში გადააბრძანებენ ხოლმე.

საზეიმო წირვა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმემ (შარაშენიძე) ადგილობრივ და სხვა სასულიერო პირებთან ერთად ჩაატარა.

10-15 წლის წინ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ადგილსამყოფელი საზოგადოებისთვის უცნობი იყო. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ის ზუგდიდის დადიანების სასახლეში ესვენა. ისტორიული წყაროების მიხედვით, წლების განმავლობაში ის, ძირითადად, ხობის მონასტერში იყო დაბრძანებული.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის ორი ვერსია არსებობს. პირველის თანახმად, ის მე-8 საუკუნეში ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლიდან წმინდა ბერებმა ჩამოიტანეს; მეორე ვერსიის მიხედვით კი – კვართი მე-15 საუკუნეში, კონტანტინეპოლის თურქ-ოსმალთათაგან დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ.

ღვთისმშობლის კვართს ბევრი სასწაული უკავშირდება. ერთი სასწაული საქართველოში 1891 წელს დაფიქსირდა. ყაჩაღებმა ხობის მონასტრიდან კვართი გაიტაცეს. ისტორიული წყაროების თანახმად, საძებნად მთელი ხობი და სამეგრელო ფეხზე დამდგარა, მაგრამ ამაოდ. 3 დღის შემდეგ, უეცრად, კვართი ცისკრის ვარსკვლავით განათებულ ადგილას იპოვეს და სიწმინდე კვლავ მონასტერში დააბრუნეს.

2000 წელს ღვთისმშობლის კვართზე იესო ქრისტეს გამოსახულება გამოჩნდა. მისი დანახვა მხოლოდ კინოობიექტივიდან გახდა შესაძლებელი. ის სტუდია **"მემატიანის"** ოპერატორებმა გურამ როგავამ და დავით ასათიანმა აღმოაჩინეს. კონსტანტინეპოლის ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც ყოვლადწმიდა ქალწულის სამოსელი, თავსაბური და სარტყელის ნაწილი ინახებოდა, X საუკუნის შუა წლებში ანდრია სალოსმა ღამისთევაზე ზეციური შუქით გაცისკროვნებული ღვთისმშობელი ანგელოზებისა და წმიდათა დასის თანხლებით იხილა. მას იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღვთისმეტყველი კრძალვით მოაბრძანებდნენ.

ყოვლადწმიდამ მუხლი მოიყარა და ცრემლთაღვრით უფალს საქრისტიანოს დიდხანს ავედრებდა. შემდეგ ტრაპეზთან მივიდა და იქ განაგრძო ლოცვა. ბოლოს კი თავსაბური მოიხსნა და ტაძარში შემოკრებილ მლოცველებს გადააფარა. უბიწო ქალწული ღვთაებრივი დიდებით ბრწყინავდა, თავსაბური კი მის ხელში მზეზე უბრწყინვალესად ელვარებდა.

სპ. ინფ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

1992 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელშიც ხელმძღვანელად (თანაბარი უფლებით) დანიშნულ იქნა ოთხი პიროვნება, მათ შორის დარჩა ერთი, საუბარია ამ პიროვნებაზე.

„უზენაესის წმიდანებს შეავიწროებს (დან 7. 25)

„ეს საძულველი, ურჯულოების კაცი, ძე წარწყმედისა, ცრუ წინასწარმეტყველი – ბოლოჟამის ანტიქრისტე ღვთის ტაძარში დაჯდება, როგორც ღმერთი და თავს ღმერთად გამოაცხადებს“. (II თესალ 2.3).

კომენტარი: 2000 წლის 30 აპრილს აღდგომა დღეს სვეტიცხოვლის ტაძარში (ღვთის ტაძარში) ინაუგურაცია ჩატარდა, თავი ღმერთად მოგვაჩვენა (შეფასება მკითხველისათვის მომინდია).

„ვიხილე ცრუ წინასწარმეტყველის პირიდან გამოსული სამი უწმინდური სული, როგორც ბაყაყები, ესენი ეშმაკის სულები არიან“ (გამოცხადება – 16. 13-14)“.

„ღირსმყავი, რათა გამიმჟღავნო დროჟამის უკანასკნელი ამბები. ერთ-ერთი მათგანი თავის სარეცელზე მოკვდება, თუმცა – წამებით. იმ დანარჩენ ორს მახვილი შეჭამს, ერთის მახვილი მეორეს შეჭამს, თუმცა ისიც მახვილით დაეცემა უკანასკნელ ხანებში (III ეზრა 12. 9. 21. 28)“.

„შენ ერთადერთი იყავი ღირსი, რომ გცოდნოდა უზენაესის საიდუმლო“. (III-ე ეზრა 12. 36)

„თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრილი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი ნათლისაკენ გამოგიხმობთ“ (პეტრე 2.9.).

„გეკუთვნით შვილება და დიდება, აღთქმანი და რჯულმდებლობა, მსახურებანი და დაპირებანი, მათნი არიან მამანი და მათგანაა ხორციელად ქრისტე, რომელიც არის ღმერთი ყოველთა ზედა, უკუნისამდე კურთხეული. ამინ“ (რომაელთა 9. 4. 5).

(ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, მთავრობის დავალებით, მეცნიერებმა შეისწავლეს ქრისტეს არსებობისა და მოღვაწეობის ისტორია. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს ხუთასი (500) უტყუარი წერილობითი დოკუმენტი, რომ ის, რაც წერია სახარების ღვთაებრივ წიგნში, არის აბსოლუტური ჭეშმარიტება. აღნიშნულის შესახებ, ერთმანეთს სწერდნენ იმპერატორები, მეფეები, ისტორიკოსები, ცნობილი ადამიანები და თვითონ მეცნიერ-თეოლოგები).

ფაქიზად და ზომიერად მინდა შევეხო წამოჭრილ თემას, რადგან დრო-ჟამის იმ ორიენტირებით, რომლებსაც ჰქვია აპოკალიფსური პერიოდი, ძნელია სახალხოდ გააშუქო არსებული თემა, არა იმიტომ, რომ აკრძალული იყო მისი ხალხში გატანა, არამედ მასობრივი საზოგადოებისთვის მაქსიმუმი ცნობიერი შემეცნებითი ეპოქის სრულიად არდადგომის გამო.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე დროის დისტანციური შუალედებით ქვეყნიერებას ევლინებოდნენ გენიალური სიბრძნის მქონე ადამიანები, რომელთა მეშვეობითაც ვითარდებოდა კაცობრიობა. შეუძლებელია არ ჩამოვთვალოთ მიმდინარე ცივილიზაციის განათლების შემქმნელი გენიალური მსოფლიო კორიფეები: ადამი, ნოე, აბრამი, ისააკი, იაკობი, მოსე, ქრისტე. ასევე, ქრისტეს გენიალური ცნობიერების მატარებელი თორმეტივე მოციქული. მათ შორის იოანე-ზოსიმე, რომელმაც შეიცნო და შეამკო ქართული ენა და ქართული ანბანი; შოთა რუსთაველი, რომელმაც ლირიკული, ქარაგმული – ალეგორიული ჟანრში დაწერილი ბიბლია და სახარება უძღვნა კაცობრიობას **„ვეფხისტყაოსნის“** სახით.

შეუძლებელია პატარა წერილის მეშვეობით გააშუქო უდიდესი მეცნიერულ-რელიგიური შინაარსის მომცველი კაცობრიობის შემოქმედებითი შედევრები, როგორიცაა მაგ. **„ვეფხისტყაოსანი“**. შეძლებისდაგვარად შევეცდები გაშიფვრა-გაანალიზების სახით განვიხილოთ რამდენიმე სტროფი, რომლებშიც ნაჩვენებია რუსთაველის გმირების დაბრუნება სამშობლოში.

ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება:

„უთხრეს, რომ იგი ვაჭარნი და მათი უხუცესია;

უბრძანეს: „ვინ ხართ, შავითა რად ტანი შეგიგლესიათ?

მათ მოახსენეს; სით მოვალთ, მუნ ასრე დანაწესია,

ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა უგრძესია“.

კომენტარი: როგორც პოემიდან ვიგებთ, სამშობლოსკენ მიმავალი ფრიდონი, ავთანდილი, ტარიელი მეგობრებთან ერთად გზად გადაეყრებიან ეგვიპტიდან მომავალ ინდოელ ვაჭრებს. ტარიელის ბრძანებით ვაჭრებს ჩამოაქვეითებენ და გამოჰკითხავენ, თუ საიდან მოდიან და შავებით რად არიან შემოსილნი.

ვაჭრები მოახსენებენ, რომ მათ დიდი გზა გამოიარეს და საიდანაც მოდიან, იმ ქვეყნად ასეთი დანაწესია.

„უბრძანეს: „გვითხართ, ვაჭარნო, ამბავი ინდოეთისა!“

მათ ჰკადრეს; ზეცით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა,

დიდსა და წვრილსა ყველასა ცრემლი სდის მსგავსი წვეთისა,

მას შიგან მყოფსა ბრძენსაცა ცნობა აქვს, ვითა შეთისა“.

კომენტარი: ტარიელიანელებმა ვაჭრებისგან მოისურვეს გაეგოთ ამბავი იმ ქვეყნისა, საიდანაც ვაჭრები მოემგზავრებოდნენ, რადგან ის ქვეყანა ტარიელიანთა სამშობლოა, პირობითად **„ინდოეთი“**.

ვაჭრები უყვებიან **„ინდოეთის“** (დონეთი) ქვეყნის ამბავს თუ როგორი გაჭირვება და სიდუხჭირეა ქვეყნად, ცრემლიანობა და ცნობიერი სიბნელეა გამეფებული.

კვლა უბრძანებდეს: „გვიამბეთ ამბავი დანარჩომია,

მათ მოახსენეს: „პატრონო, ინდოეთს დიდი ომია,

მოსრულა ხატათ ლაშქარი, ქალაქსა შემოსდგომია,

რამაზ არს ვინმე ხელმწიფე, მათად პატრონად მჯდომია.

„ჯერ დედოფალი ცოცხალი, მკვდართაგან უფრო მკვდარია;

იბრძვის ინდოთა ლაშქარი, თუმც იმედგარდამწყდარია;

გარეთ ციხენი წაუხვმან, ყველაი გარდამხდარია.

მზენო, თქვენ შუქი მოჰფინეთ, ჰაი, რა ავი დარია!“

კომენტარი: ვაჭრებს ინდოეთის ქვეყნის დაწვრილებითი ამბის მოყოლა მოსთხოვეს, ისინი ჰყვებიან, რომ ინდოეთს დიდი ომია, ხატაელები, ანუ მტერი, გარს შემოსდგომია, ვინმე რამაზი თავისი ჯარით პატრონად მოვლინებია ქვეყანას, რომ **„დედოფალი ცოცხალა“** – ნაგულისხმევია ქვეყნის განათლების სისტემა, აღარ არსებობს და მკვდარია, რომ თითქოსდა იბრძვის ინდოთა ხალხი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, მაგრამ ყველაფერი წაგებულია – წახდენილია.

ვაჭრები დეტალურად ჰყვებიან ინდოთა ქვეყნის ამბავს და ღმერთს შესთხოვენ ჭეშმარიტ გამოდარებას, რადგან იქ ავი დარი დგას.

„ინდოეთს ზედა წაადგა, მუნ მთა და დიდი ქედია;

აჩნდა ლაშქარი უსახო, უსაკვირველა, ჰე, დია,

ტარიელ ბრძანა; „მოყმენო, აწ თქვენგან რა იმედია?

ადრე მოვიცლი იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია!

დაეკაზმეს საომარად, გაამაყდეს, გაჩაუქდეს,

ცხენთა შესხდეს უკეთესთა, სახედარნი ასუბუქდეს,

ერთმანერთსა აჯობინეს. მჭვრეტელთაგან არ გაუქდეს,

იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაგან უფრო ბუქდეს.“

კომენტარი: პოემიდან ნათალად ჩანს, თუ როგორი გულდასმით მოისმინეს ვაჭრების ნაამბობი ტარიელმა და მისმა მეგობრებმა, ბუნებრივია, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ტარიელი ფიცხდება და მოუწოდებს მეგობრებს სამშობლოში წამოსვლის დაჩქარებას.

„წინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდევიდეს;

ტარიასთა გააქცივნეს, მიეწივნენ ჩამოჰყრიდეს,

მიაგებნეს მხარ-დაკრულნი, მათ წინაშე მოასხმიდეს,

აიზიდნეს, „ვისნი ხართო?“ – ჰკითხეს, ხანსა არ დაზმიდეს“.

კომენტარი: ზემოთ მოყვანილი ტაეპიდან ჩანს, თუ როგორ გადმოიარეს ტარიანელებმა დიდი მთა, სანამ სამშობლოში შევიდოდნენ, სამშობლოში შესვლისთანავე ქვეყნის დამპყრობთა დარაჯთაგანნი აიყვანეს, ტარიელს მხარდაკრულნი მიჰგვარეს და ეკითხებიან: **„ვისნი ხართო“!**

„მათ მოახსენეს: „მეფეო, ჩვენ-ცუდად დაღორებულნი,

რამაზის ხელმწიფისანი აქა დარაჯად რებულნი.

უბრძანა; წადით, რეგვენნო, თქვენ ჩვენგან გაფიცხებულნი,

აცნობეთ თქვენსა პატრონსა; მოვლენ გულითა ქებულნი.“

უთხარით; „ბრძანებს ტარიელ, მეფე ლაღი და ჯანია,

იგი ხელმწიფე მაღალი, მებრძოლთა მემაჯანია,

ჩემსა ამბავსა გაცნევენ თქვენივე დარაჯანია,

შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდიღა დაღრაჯანია!“

კომენტარი: ნათლად ჩანს, მხარდაკრულნი დარაჯნი, როგორ უყვებიან თავიანთ ვინაობას, აღიარებენ, რომ ისინი მწარედ მოტყუებულნი არიან და შეცდომაში შეყვანილები.

მაშინ ტარიელი ეუბნება მათ, წადით, რეგვენნო, ჩვენგან გაკიცხულნო, თქვენს პატრონთან და უთხარით, რომ მოდიან ამ ქვეყნის ქებული შვილები!

„დია დიდთა დამაჯნება უშმაგომან ვით გააგო!

ინდოეთსა ვით მოადექ, შმაგთაგანცა უფრო შმაგო?

აჰა, მოველ იგი ცეცხლი, რომე სრულად ამოგაგდო,

ხრმალი ჩემი მოლესილი შენს ტანზედა დავაბლაგო.

აწ, გაემზადე, მოპარვა მე შენი არა მწადიან;

შემები, რაზმი დააწყვე, პირველვე გამიცხადიან;

პირბოზო, ჩემი მორევა რა დია დაგიქადიან?

მე ჩაბალახად გახმარებ, რაცა გამუზარადნიან!“

კომენტარი: ბრაზმორეული ტარიელი მიმართავს რამაზს და მის ჯარს, რომ ისინი არ არიან ნორმალური ცნობიერნი, მოაზროვნენი. ტარიელი ეუბნება; რომ ავადმყოფური სენით არიან შეპყრობილნი და, რომ ამ ქვეყნად (ინდოეთს-დონეთი) როგორ შეიძლებოდა მათი შემოჭრა და ბატონობა – პარპაში, ამიტომ მოვედი ცეცხლი, რათა ამოგდაგო, ჩემი ხმალი თქვენს ტანზე დავაბლაგვოო! – ემუქრება ტარიელი.

ტარიელი იქვე უცხადებს რამაზს ომს და ეუბნება, არა მოპარვით, არამედ ვაჟკაცურად შემებიო ბრძოლაში, ტარიელი განაგრძობს, – პირბოზო, ჩემი ხალხის დაჯაბნისათვის თავზე დაგამხობ ყველაფერს, თუ რამისთვის მიგიღწევიაო!

„დარეჯანი წავიდეს და ერთმანეთსა მიუსწრობდეს,

რამაზს ჰკადრეს ყველაკაი, დამალვასა ვერა სთმობდეს,

„მოვიდაო ინდოთ მეფე, ლაშქარნიცა კარგი ყმობდეს,

ვინცა ვითა გარდეხვეწოს, იგი ერთი ორთა სჯობდეს!“

ინდოთა დროშა ტარიელს, აქვს და ალამი უბია,

დროშა არაბთა მეფისა მასთანა შენატყუბია;

არაბთა იცის ყოველმან, მათი აბჯარი შუბია,

ფრიდონ – მზე მოყმე, რომელმან შექმნა სისხლისა გუბია!“

კომენტარი: ტარიელის დანაბარები კისრისტეხით წასულმა დარაჯებმა მოახსენეს რამაზს, რომ მოვიდაო ამ ქვეყნის მეფე (პატრონი) ქებულ ჯართან ერთად.

ძვირფასო მკითხველო, აქ ნაჩვენებია, პირობითად, **„ინდოთა“** ქვეყნის სულიერი მისია, არაბთა მიმართებაში, ახლო მომავალში, მსოფლიო ხალხებიდან არაბული სამყარო შეიცნობს **„ინდოთა“** ქვეყნის სულიერ მისიას კაცობრიობის წინაშე, ამიტომაც **„არაბთა დროშა მასთანა შენატყუბია“**. აქვე ნაჩვენებია არაბთა სამყაროს შემართება და გაქანება ახლო მომავალში მსოფლიოში განსახორციელებელი მოვლინებისა. სულმნათი რუსთაველი თანამედროვე არაბთა სამყაროს ცნობიერებას ფრიდონის ეპოქის დროინდელ ცნობიერებასთან აიგივებს.

„დაიკარგენით, წაჰხედით თქვენ წელნი მეათენია,

გახდეს ფრინველნი უმეფოდ, არწივსა მოსტყდეს ფრთენია,

ამად შევმართენ საქმენი ჩემნი საკამათონია,

ადრე გამიტყდა სოფელი მართ ვითა კაბათენია“.

კომენტარი: მოცემულ ტაეპში ჩაქსოვილია ღრმა ბიბლიური აზრი და წინასწარმეტყველება.

ბიბლიაში წინასწარმეტყველი ესაია ამბობს: **„სარდლებად ბიჭ-ბუჭებს დავუდგენ და ქარაფშუტები იბატონებენ მათზე“**. (ესაია 3.4.)

პირობითად მოყვანილ **„ინდოთ“** ქვეყანაში (დონეთში) ბიჭ-ბუჭებისა და ქარაფშუტების ლეგიტიმაციიდან 2014 (ორიათას თოთხმეტ) წელს სრულდება მეათე წელი. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, რადგან ავტორი შეპარვით ამბობს, **“ამისათვის შევქმენი საქმენი საკამათოო“** და, ამ საქმიდან გამომდინარე, შემიძულა წუთისოფელმაო!

„ერთი კაცი მახარობლად, მათ ლაშქართა მოუვიდა,

„არ დაგხოცსო, შევიწყალნა“ – ყველა კაი დალოცვიდა,

ბუკსა ჰკრეს და იხარებდეს, ყველა ამას მოძრახვიდა;

„მოვიდაო იგი მოყმე, რომე ერთი ბევრსა სვრიდა“.

კომენტარი: ტარიელი ისე იქცევა, როგორც ნამდვილი ქრისტიანი, ის ხომ მთელი ქრისტიანეთის ასლია და განსახიერებაა, ამიტომ გადაწყვიტა, არა მათი ამოჟლეტა, არამედ დანდობა **„ყველა კაცი დალოცვიდა“**. ყოველივე ამის მაცნედ მათ ერთი კაცი მოუვიდათ ლაშქარში და ტარიელისაგან შეწყალება ახარა რამაზის ლაშქარს.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

რომან ფიფია: მალე მიხვდებით, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო...

თბილისის **"დინამოს"** პრეზიდენტ რომან ფიფიას ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ უმაღლესი ლიგის 16 გუნდამდე გაზრდის გადაწყვეტილებაზე კომენტარი ჩამოვართვით.

გეხსომებათ, ის ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან საფეხბურთო მოხელეთაგანი იყო, ვინც ლიგის გაფართოების წინააღმდეგ თავიდანვე აქტიურად გაილაშქრა და სპორტული პრინციპის პატივისცემა მოითხოვა.

საინტერესოა, რას ფიქრობს ფიფია უკვე პოსტფაქტუმ:

"მურთაზ ხურცილავას უდიდეს პატივს ვცემ. ის და ფედერაციის ფუნქციონერები ამბობენ, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატისთვის მზად ვართ, მაგრამ ბატონ მურთაზს დღესაც ვეუბნები, რომ ასეთი ჩემპიონატისთვის მომზადება გვჭირდება.

არანაკლებად ვარ დარწმუნებული, რომ ამისთვის მზად არაა თავად ქვეყანა. ამიტომ ამ ჩემპიონატის ღირსეულად ჩატარება და ჩამთავრება იმ ხალხის პასუხისმგებლობაზეა, ვინც ამ გადაწყვეტილებას მისცა ხმა.

16-გუნდიანი ჩემპიონატი რომ მცდარი გადაწყვეტილება იყო, მგონი, ამას მალე ყველა მიხვდება.

აქვე ვიტყვი, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვითამაშებთ ისეთ მოედნებზე, სადაც მატჩის ჩატარება არ შეიძლება. ხარისხიან მოედნებს კი ერთი ხელის თითებზე თუ ჩამოვთვლით", – ამბობს ფიფია.

რა დასამალია და, რეგიონებში ბევრს ჰგონია, რომ მდიდარ (საქართველოს კვალობაზე) კლუბებს, თბილისის **"დინამოსა"** და **"ზესტაფონს"**, ღარიბების არსებობა და დღევანდელი ვითარება აწყობთ – უმაღლესში გუნდების რაოდენობის გაზრდას რეგიონებში კლუბებისა და სკოლების გაძლიერების შიშით ეწინააღმდეგებიანო.

ფიფიას ეს არგუმენტი სასაცილოდ არ ჰყოფნის:

"ბავშვების გაზრდის პირობები რომ არ აქვთ და ჩვენ ვპატრონობთ, ეს ცუდია? არსებობს ერთი სიმართლე და არა – სამი.

ჩემთვის, როგორც "დინამოს" მესაკუთრისთვის, უმნიშვნელოვანესია, რომ ჩვენს დონეზე მინიმუმ 4 კლუბი მაინც იყოს, ხოლო თუ ასეთი 6 გვეყოლება, ეს უკვე ბედნიერება იქნება.

რა თქმა უნდა, იმავეს ვიტყვი საფეხბურთო სკოლებზეც, რადგან სოლიდური კლუბი საფეხბურთო სკოლასთან ერთად უნდა არსებობდეს და მომავალი ვარსკვლავების გაზრდაზე ფიქრობდეს.

უკვე მეოთხე წელიწადია, "დინამოს" ვხელმძღვანელობ და ვხედავ, რომ სხვაგვარად, ანუ საფეხბურთო აკადემიის გარეშე, კლუბის პატრონობა სისულელე და ფულის წყალში გადაყრაა".

ევრობასკეტის შესარჩევზე ჰიკმანი გამოგვაკლდა და შესაძლოა, მარკოიშვილიც

16 ივლისს საქართველოს ეროვნული ნაკრები სლოვენიიდან მაკედონიაში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

ქალაქ ოჰრიდში საქართველოსთან და მასპინძელთა ნაკრებთან ერთად თავს ავსტრია და რუმინეთი მოიყრიან.

საქართველოს ნაკრები მაკედონიაში 14 კალათბურთელით მიდის. საქართველოში რევაზ როგავა და ირაკლი ჩლაიძე ბრუნდებიან.

ოჰრიდში გამგზავრების წინ სლოვენიაში შევეხმიანეთ მთავარი მწვრთნელის ასისტენტს, კოტე ტუღუშს, რომელიც სლოვენიურ შეკრებასა და გუნდის სიახლეებზე გვესაუბრა...

– შეკრების მეორე ეტაპი, რომელიც სლოვენიაში 5 ივლისს დაიწყო, დღეს დასრულდა. მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ყველა მოთამაშე საქმეში ნახა. დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა, რამაც მწვრთნელს საშუალება მისცა, ყველა კანდიდატი ბოლომდე გამოეცადა.

კოკოშკოვზე ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვა თითოეულმა მოთამაშემ, უკმაყოფილო არავისზე დარჩენილა. ამიტომაც რთული იყო მათგან რომელიმეზე უარის თქმა.

საბოლოო არჩევანის გაკეთება კოკოშკოვს მაინც მოუხდა და თბილისში რევაზ როგავა და ირაკლი ჩლაიძე მოდიან.

იგორ კოკოშკოვის სახელით დიდ მადლობას გადავუხდი ამ ბიჭებს, რომლებიც ძალიან კარგი სპორტსმენები არიან და ნაკრებშიც კარგად წარმოაჩინეს თავი. ვუსურვებ მათ წარმატებას საკუთარ გუნდებში. ნაკრები არ წყვეტს მათთან ურთიერთობას. მთავარმა მწვრთნელმა მათ მისცა რეკომენდაციები, რა კუთხითაც უნდა იმუშაონ.

– მაკედონიაში რამდენი მოთამაშით მიემგზავრებით?

– 14 კალათბურთელით მივდივართ. ესენია: ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, დუდა სანაძე, ლევან ფაცაცია, ბესიკ ლეჟავა, ოთარ ფხაკაძე, ნიკა მეტრეველი, ბექა წივწივაძე, გიორგი შარაბიძე, აკაკი დვალიშვილი, მიხეილ ბერიშვილი, ლაშა ფარღალავა და მიხეილ ჭოჭუა.

– დანარჩენი მოთამაშეები როდის შემოგიერთდებიან?

– ბექა ბურჯანაძე ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაშობს და სლოვენიაში რომ დავბრუნდებით, 20 ივლისისთვის შემოგვიერთდება.

სავარაუდოდ, იმ პერიოდისთვის ჩამოვა სლოვენიაში თორნიკე შენგელიაც, რომელიც რამდენიმე დღის წინ მამა გახდა და თავის ოჯახთანაა. ვსარგებლობ შემთხვევით და ნაკრების სახელით ვულოცავ თორნიკეს ვაჟიშვილის შეძენას.

შერმადინს ფეხი აწუხებს, სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს და იგი, სავარაუდოდ, მოგვიანებით შემოგვიერთდება.

ცუდი ინფორმაციაა რიკი ჰიკმანთან დაკავშირებით. მას ექიმებმა თამაში აუკრძალეს. სეზონის ბოლო პერიოდში ის ტრავმით თამაშობდა და ახლა სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ის შესარჩევი ტურნირის მატჩებში ვერ დაგვეხმარება. ტრავმიანია მანუჩარ მარკოიშვილიც, რომელიც ექიმებთან რეაბილიტაციის კურსს გადის და ნაკრების თამაშებისთვის, სავარაუდოდ, ვერ მოასწრებს მომჯობინებას.

– მაკედონიურ ტურნირზე რას იტყვით?

– ეს არის მოსამზადებელი მატჩები და შედეგს ყურადღებას არ ვაქცევთ. მთავარი მიზანი გუნდის შეთამაშება და 10 აგვისტოსთვის მომზადებაა, როცა პირველ ოფიციალურ მატჩს გავმართავთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

– ტურნირის კალენდარი გაგვაცანით...

– 16 ივლისს, თბილისის დროით 20:00 საათზე ვეთამაშებით რუმინეთს. 17-ში, იმავე დროს ავსტრიას დავუპირისპირდებით, ხოლო 18 ივლისს, თბილისის დროით 10:30 საათზე მაკედონიას შევხვდებით.

გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარგმანის მეორე ტომი

გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ფიფიას ნაწარმოებების სრული კრებული **"ბორჯი"**, რომელიც შეადგინა და გამოსცა მწერალმა და ჟურნალისტმა ბატონმა თამაზ ფიფიამ.

წიგნის შეძენა შეიძლება ქალაქ ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩა №65-ში, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ოფისში.

ტელ. 599-209-624

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცირეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ძობალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge